



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლიზა ბარათაშვილი

საწარმოს (ორგანიზაციის) ფინანსური მდგრადობის ანალიზი და
პროგნოზირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი
გელა წიკლაური

თბილისი

2019

ანოტაცია

საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი მუდმივად აქტუალურია, ვინაიდან, საწარმოსთან ურთიერთობისას, სხვადასხვა დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირები დიდ ყურადღებას აქცევენ მათ მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ მდგომარეობას. საწარმოებისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს გადახდისუნარიანობისგან თავის დაღწევა. ფინანსური საქმიანობის ანალიზი კი კომპანიის მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომლის მთავარი მიზანია დროულად გამოავლინოს ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხები. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობისა და მისი წარმატება-წარუმატებლობის დადგენისათვის საჭიროა ფინანსური მდგომარეობა შეფასდეს კომპლექსურად, შესაბამისი ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საწარმოში ფინანსური მდგრადობის შეფასება, მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და შესწავლა. ყოველივე ამის შემდეგ, გაანალიზებულია ფინანსური მდგრადობის შეფასების განსაზღვრისთვის საჭირო კოეფიციენტები და განსაზღვრულია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ მდგრადობაზე.

საწარმოს წარუმატებლობის დაძლევა შესაძლებელია იმ პრობლემების მოგვარების შედეგად, რომლებიც აღმოცენდა ანტიკრიზისული მართვის პროცესში. საწარმოს გადახდისუნარიანობა ექცევა ანტიკრიზისული მართვის პროცესისა და საწარმოს საქმიანობის რეგულირების გავლენის ქვეშ, რომლის მიზანი ნეგატიური ტენდენციების დროულად გამოვლენა და პროფილაქტიური ღონისძიებების გატარებაა.

ჩვენ მიერ განხილული და გაანალიზებული კომპანიის საქმიანობის ზოგადი შეფასება მოცემულ პერიოდში ნორმალურია, თუმცა ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე ჩატარებული დეტალური ანალიზით გამოვლენილ იქნა გარკვეული ნაკლოვანებები. ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი სამოქმედო გეგმა, განიხილოს და შეაფასოს თავისი ფინანსური მდგომარეობა სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში.

Annotation

Liza Baratashvili

Analysis and predictions of financial sustainability of enterprise (organization)

The financial sustainability analysis of enterprise is always actual, as different interested legal and physical persons pay huge attention to their current and expected economic situation. The most important challenge for enterprises is to avoid problems associated with insolvency. Financial activity analysis is one of the most important directions of the company management, its main goal is to find out financial circumstances and solvency issues timely. For determining the economic sustainability of the enterprise and its success-failure, it is necessary to evaluate the financial situation in a complex way, using the corresponding financial ratios. Based on the above, the aim of the Master's thesis is to evaluate financial sustainability in the enterprise, finding out and studying factors of sustainability. After all, the ratios for determining the assessment of financial sustainability are analyzed and the factors that affect financial sustainability are defined.

The fiasco of the enterprise can be overcome with the help of solving problems that have occurred in the process of anti-crisis management. Insolvency of the enterprise is influenced by anti-crisis management and regulation of enterprise activity, which aims to detect negative trends and carry out prophylactic measures.

The general evaluation of the company's performance and analysis by us is normal for the given period, however, a detailed analysis of financial ratios has shown some disadvantages. In order to correct the given disadvantages, the company must set up its action plan, to review and evaluate its financial condition in relation to the action plan.

შინაარსი	
ანოტაცია	3
Annotation	3
შესავალი	5
I თავი. ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელობა და პრობლემები თანამედროვე ეტაპზე	8
1.1. ფინანსური ანალიზის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში	8
1.2. ფინანსური მდგრადობის არსი და მისი ადგილი ფინანსურ ანალიზში	14
II თავი. საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და მასზე მოქმედი ფაქტორები	18
2.1 საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და მისი გაუმჯობესების გზები.....	18
2.2. საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების კოეფიციენტები	38
III თავი. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობა და მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები ..	47
3.1. კრიზისების მართვის მეთოდოლოგია ორგანიზაციაში და ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები	47
3.2. წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების საინვესტიციო ასპექტები და რესტრუქტურირაცია	76
დასკვნა	87
გამოყენებული ლიტერატურა.....	89

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი მუდმივად აქტუალურია. საწარმოებთან ურთიერთობისას, სხვადასხვა დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირები დიდ ყურადღებას აქცევენ მათ მიმდინარე და მოსალოდნელ ეკონომიკურ მდგომარეობას. აქციონერების ინტერესს ძირითადად წარმოადგენს სტაბილურად ზრდადი მოგების მიღება, აქციის საბაზრო ღირებულების გაზრდის შესაბამისად. ინვესტორების ინტერესის სფერო კი ისევ და ისევ მოგების მიღება და შესაბამისად, იმ მომენტის განსაზღვრაა, როდესაც აუცილებელი ხდება აქციების სწრაფად რეალიზაცია, მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად. კრედიტორი მუდმივად დაინტერესებულია საწარმოს გადახდისუნარიანობით დროის მოცემულ მომენტსა და კრედიტით სარგებლობის პერიოდის დამთავრებამდე, რადგან საწარმოებისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს გადახდისუნარიანობისგან თავის დაღწევა.

საწარმოს განვითარებისთვის, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ ვმართოთ ფინანსები, როგორი უნდა იყოს კაპიტალის სტრუქტურა, რა წილი უნდა ეკუთვნოდეს საკუთარ საშუალებებს და რა - ნასესხებს. საქართველოში აქტუალური ამოცანაა, არა გადახდისუნარო საწარმოების ლიკვიდაცია, არამედ კრიზისის დაძლევა. ფინანსური საქმიანობის ანალიზი კი წარმოადგენს კომპანიის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რომლის მთავარი მიზანია დროულად გამოავლინოს ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხები. ფინანსური მდგრადობა საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ მიმზიდველი და სტაბილური დამსაქმებელი შრომის ბაზარზე, გავაუმჯობესოთ სამუშაო გარემო პერსონალისთვის, გვქონდეს კადრების სტიმულირების მოქნილი სისტემა, შევიმუშაოთ ახალი, ინოვაციური პროექტები, უზრუნველვყოთ მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონე და ღირსეულად ვუპასუხოთ ნებისმიერ გამოწვევას.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება ხდება რამდენიმე კოეფიციენტის მიხედვით. საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზის ჩატარების შედეგად ვლინდება მისი ფინანსური მდგომარეობა. საწარმოს არასასურველი ფინანსური მდგომარეობის დროს აუცილებელია გამომწვევი მიზეზების დადგენა და ღონისძიებების შემუშავება მის აღმოსაფხვრელად. ფინანსური მდგრადობის შეფასების მთავარ წყაროს წარმოადგენს ბალანსი, რომლის მონაცემების ანალიტიკური დამუშავება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასევე, საწარმოს განვითარების არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, განხორციელდეს პროგნოზი მოსალოდნელი შედეგების შესახებ და გამოინახოს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის გზები და საშუალებები.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანი და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საწარმოში ფინანსური მდგრადობის შეფასება, არსისა და მნიშვნელობის განსაზღვრა. ასევე, საწარმოს ეკონომიკურ მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და შესწავლა. დასახული მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანას წარმოადგენს ფინანსური მდგრადობის შეფასების განსაზღვრისთვის საჭირო კოეფიციენტების გაანალიზება და იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ მდგრადობაზე.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი და ობიექტი. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისთვის საჭირო კოეფიციენტების შესწავლა და გაანალიზება, რომლის სრულყოფის მიზნით დაზუსტებულია და შემოთავაზებულია მდგრადობის განსაზღვრის მაჩვენებელთა სისტემა. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი შპს-ს საქმიანობა და მისი ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში გამოყენებულია კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების მეთოდები, ასევე, კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების განზოგადების ლოგიკურ-ისტორიული ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობისა და მისი წარმატება-წარუმატებლობის დადგენისათვის საჭიროა ფინანსური მდგომარეობა შეფასდეს კომპლექსურად, შესაბამისი ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით. საწარმოს წარუმატებლობის დაძლევა შესაძლებელია იმ პრობლემების მოგვარების შედეგად, რომლებიც აღმოცენდა ანტიკრიზისული მართვის პროცესში. საწარმოს საქმიანობის რეგულირების მიზანი ნეგატიური ტენდენციების დროულად გამოვლენა და პროფილაქტიური ღონისძიებების გატარებაა.

ჩვენ მიერ განხილული და გაანალიზებული კომპანიის საქმიანობის ზოგადი შეფასება მოცემულ პერიოდში ნორმალურია, თუმცა ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე ჩატარებული დეტალური ანალიზით გამოვლენილ იქნა გარკვეული ნაკლოვანებები. ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი სამოქმედო გეგმა, განიხილოს და შეაფასოს თავისი ფინანსური მდგომარეობა სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 90 გვერდს და შედგება შესავალის, სამი თავისა და ექვსი ქვეთავისაგან. ნაშრომს თან ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

I თავი. ეკონომიკური მდგრადობის მნიშვნელობა და პრობლემები თანამედროვე ეტაპზე

1.1. ფინანსური ანალიზის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში

ფინანსური ანგარიშგება საწარმოს მდგომარეობის აღწერის ძირითადი საშუალებაა. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ ფინანსურ სურათს. მისი მიზანია, მიაწოდოს მომხმარებლებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მის მომხმარებლებს აძლევს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და სამართლიანად ასახავდეს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. მისი ანალიზით შეიძლება შეფასდეს მენეჯერთა საქმიანობა, მათი წარმატება და შეცდომები. ვინაიდან ფინანსური დოკუმენტები პირველნი იუწყებიან კომპანიის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელ სიძნელებზე. ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზით დაინტერესებულნი არიან პირველ რიგში კომპანიის ხელმძღვანელები, ინვესტორები და კრედიტორები.

კომპანიის მენეჯმენტი ფინანსურ მაჩვენებლებს ორი თვალსაზრისით აფასებს: რამდენად მომგებიანია საწარმოს საქმიანობა და რამდენად ეფექტიანად გამოიყენება საწარმოში არსებული რესურსები. საწარმოო საქმიანობის შედეგების შეფასება ძირითადად მოგება-ზარალის ანგარიშგების საფუძველზე ხდება, ხოლო რესურსების გამოყენების ეფექტიანობა ბალანსისა და მოგების ანგარიშგების საფუძველზე.

ყველა კომპანიას თავისი კრედიტორის მიმართ ორი ფიქსირებული ვალდებულება გააჩნია: სესხად აღებული თანხის დაბრუნება წინასწარ დათქმულ ვადებში და ხელშეკრულებით წინასწარ გათვალისწინებული პროცენტის გადახდა.

ინვესტორი (აქციონერი) საწარმოს მფლობელად ითვლება, ამიტომ დაინტერესებულია კუთვნილი აქციების ფასისა და ამ აქციების შესაბამისი დივიდენდების ზრდით. აქვე

აღნიშნავთ, რომ საწარმოს თავისი აქციონერების მიმართ ფიქსირებული ვალდებულებები არ გააჩნია. მომხმარებელთა ეს ორი კატეგორია გარკვეულ რისკსთანაა დაკავშირებული. კრედიტორმა შესაძლებელია, ვერ დაიბრუნოს სესხად გაცემული თანხა, ხოლო ინვესტორისთვის რისკ ფაქტორს წარმოადგენს დივიდენდებისა და აქციების მოსალოდნელზე დაბალი საბაზრო ღირებულება. აქედან გამომდინარე, ისინი გულდასმით შეისწავლიან მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საწარმოს ფინანსურ დოკუმენტაციას, რადგან შეაფასონ წარსულში კომპანიის საქმიანობის ანალიზი და მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა: აქტივებისა და ვალდებულებების სიდიდე, მათი სტრუქტურა, ფულადი სახსრების რაოდენობა და მოძრაობის ხასიათი, ვალდებულებებისა და კაპიტალის თანაფარდობა და ა.შ., როგორც წესი, წარმოადგენას იძლევა საწარმოს პოტენციალსა და განვითარების პერსპექტივებზე.

ფინანსური ანალიზი საწარმოს საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მიმართულებაა. იგი ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებასა და პროგნოზირებას გულისხმობს. ზოგიერთი ეკონომისტი ფინანსური ანალიზის ქვეშ საწარმოს მთელს ეკონომიკურ ანალიზს მოიაზრებს, ხოლო ზოგიერთი, მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ანალიზთან აიგივებს მას.

ფინანსური ანალიზის საგანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის მაჩვენებლთა ცვლილებები, იგივე გადახრები. ფინანსური ანალიზის მიზანია, არა მხოლოდ მომხმარებლებისთვისა და ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდება ან ფინანსური სტაბილურობის შეფასება, არამედ ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების გზებისა და მომგებიანობის ამაღლების საშუალებების გამოვლენა. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანალიზის მიზნები შესაძლებელია ორგვარი ასპექტით ჩამოყალიბდეს:

- ინფორმაციის გარე მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე - შეაფასოს გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა;

- ინფორმაციის შიდა მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე - არა მხოლოდ შეაფასოს, არამედ გამოავლინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები.

ფინანსურმა ანალიზმა უნდა უზრუნველყოს დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება საწარმოს საინვესტიციო პოლიტიკის დარგში. მან უნდა შეაფასოს საწარმოს მოგებისა და რენტაბელობის დინამიკა და პერსპექტიული ცვლილებები. და ასევე, შეაფასოს საწარმოს დაფინანსების წყაროების გამოყენების ეფექტიანობა. ფინანსური ანალიზი არსებობს ორი სახის: შიდასაწარმოო და საწარმოთაშორისი.

ფინანსური ანალიზის თემატური მიზნებია:

- საწარმოს დაფინანსების წყაროების სტრუქტურული შესწავლა;
- საწარმოს აქტივების შემადგენლობის ანალიზური შესწავლა;
- ფინანსური ინვესტიციების ანალიზი;
- საწარმოს მომგებიანობის ანალიზი;
- საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შესწავლა;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დახასიათება;
- ფულადი ნაკადების ანალიზი.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან და გულისხმობს როგორც მაჩვენებლების გამოთვლას, ასევე მათი მნიშვნელობების შედარებას სხვადასხვა პერიოდების მიხედვით. ასეთი სახის დოკუმენტაციას შედარებითი ფინანსური დოკუმენტაცია ეწოდება. ფინანსური მაჩვენებლების შეფასებისას გამოიყენება: მიღებულ მაჩვენებლებთან, წინა წლების შედეგებთან და დარგში მიღებულ შედეგებთან შედარების მეთოდები. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კომპანიის უმთავრესი ფინანსური და საწარმოო მახასიათებლები როგორცაა:

- **ფინანსური სტრუქტურა** - კომპანიის აქტივები და ის ვალდებულებები, რომლებიც კომპანიამ ამ აქტივების მხარდასაჭერად იკისრა, მათ შორის კომპანიის შესაძლებლობა განახორციელოს დაგეგმილი და დაუგეგმავი ცვლილებები;
- **ოპერატიული ციკლი** - ის ეტაპები, რომლებსაც გადის კომპანია, რათა მისი პროდუქცია ან მომსახურება მოხვდეს ბაზარზე;
- **ტენდენციები და შედარებითი ეფექტიანობა** - კომპანიის განვითარების მიმართულებები იმ სახით, რომლითაც ისინი ვლინდება ამ და სხვა კომპანიების რამდენიმე წლის ფინანსური შედეგების შედარებაზე დაყრდნობით.

როგორც ცნობილია, საწარმოო რთული ორგანიზმია. იგი შედგება პარტნიორული ჯგუფებისგან, რომლებიც იმყოფებიან მჭიდრო ურთიერთობაში. პარტნიორული ჯგუფები შეიძლება დავყოთ ძირითად და არაძირითად ჯგუფებად. ძირითადი პარტნიორული ჯგუფების ჩამონათვალი, მათი შენატანი საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში, მათი ინტერესები და მოთხოვნები კომპენსაციის მხრივ მონაწილეობის მიღებისთვის, წარმოდგენილია ცხრილში №1.1.

ცხრილი №1.1. ძირითადი პარტნიორული ჯგუფები:

პარტნიორი ჯგუფი	პარტნიორი ჯგუფის შენატანი	კომპენსაციის მოთხოვნები	ფინანსური ანალიზის მდგომარეობა
მფლობელები	საკუთარი კაპიტალი	დივიდენდები	ფინ. შედეგები და ფინ. მდგომარეობა
ინვესტორები, მსესხებლები	ნასესხები კაპიტალი	პროცენტები	კრედიტუნარიანობა
მმართველები (ადმინისტრაცია)	საქმის ცოდნა და მართვის გამოცდილება	შრომის ანაზღაურება და ზეგანაკვეთური შემოსავალი	საწარმოს მოღვაწეობის ყველა მხარე
მუშაკები	შრომის იარაღებისა და საშუალებების ამოქმედება	ხელფასი, პრემიები, სოციალური პირობები	საწარმოს ფინანსური შედეგები
მომწოდებლები	პროდუქციის წარმოების უწყვეტობის და	სახელშეკრულებო ფასი	გადახდისუნარიანობა

	ეფექტიანობის უზრუნველყოფა		
მყიდველები (კლიენტები)	პროდუქციის რეალიზაცია	სახელშეკრულებო ფასი	საწარმოს ფინანსური შედეგები
საგადასახადო ორგანოები	საზოგადოების მომსახურება	გადასახადების დროული და სრული გადახდა	საწარმოს ფინანსური შედეგები

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს: **ბუღალტრული ბალანსი; მოგება-ზარალის ანგარიში**. ფინანსური მდგომარეობის ქვეშ იგულისხმება საწარმოს შესაძლებლობა ფინანსირება გაუწიოს თავის საქმიანობას. ის ხასიათდება ფინანსური უზრუნველყოფით, რომელიც საჭიროა საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ფინანსური რესურსების მიზნობრივი განთავსებით და ეფექტური გამოყენებით, ფინანსური ურთიერთობით სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, გადახდისუნარიანობით და ფინანსური მდგრადობით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს **მდგრადი, არამდგრადი და კრიზისული**. იმისათვის, რომ საწარმო განვითარდეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ ვმართოთ ფინანსები, როგორი უნდა იყოს კაპიტალის სტრუქტურა, როგორი წილი უნდა ეკუთვნოდეს საკუთარ საშუალებებს და როგორი ნასესხებს. საჭიროა ისეთი ცნებების ცოდნა, როგორიცაა: ფინანსური მდგრადობა, გადახდისუნარიანობა, საქმიანი აქტივობა, რენტაბელობა და ა.შ. ანალიზის მთავარი მიზანია დროულად გამოვლინდეს ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის ამადლების რეზერვები. ამ დროს საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- კომერციული, ფინანსური და საწარმო საქმიანობის მაჩვენებლების შედარების საფუძველზე;
- შეფასება გეგმის შესრულებას ფინანსური რესურსების შემოდინების და მათი გამოყენების მიხედვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ;
- შესაძლებელი ფინანსური შედეგების პროგნოზირება რეალური სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე;

- კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისაკენ;
- ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის შეფასებისთვის გამოიყენება მაჩვენებლების სისტემა, რომელიც ახასიათებს ცვლილებებს;
- საკუთარი კაპიტალის, მისი განვითარებისა და შექმნის წყაროების მიხედვით;
- კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობისა და ინტენსივობის;
- საწარმოს გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის;
- საწარმოს ფინანსური მდგრადობის რეზერვით.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება ხდება უმეტესწილად ფარდობითი მაჩვენებლებით, ვინაიდან ბალანსის აბსოლუტური მაჩვენებელი ინფლაციის პირობებში ძნელია მივიყვანოთ შესადარებელ სახემდე. გასაანალიზებელი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ფარდობითი მაჩვენებლები შეიძლება შევადაროთ:

- საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია რისკისა და შესაძლებელი გაკოტრების შეფასებისათვის;
- სხვა საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებს, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი შესაძლებლობები;
- წინა წლების მონაცემებს, რათა შევისწავლოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ან გაუარესების ტენდენციები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფინანსური ანალიზის მიზანია არა მხოლოდ ფინანსური მდგომარეობის შეფასება, არამედ მუდმივი მუშაობა, რათა ეს მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომელი კონკრეტული მიმართულებითაა საჭირო მუშაობა, რომელია მნიშვნელოვანი ასპექტები და სუსტი პოზიციები საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაში. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი შეიძლება ჩატარდეს დეტალიზაციის სხვადასხვა ხარისხით, ანალიზის მიზნებიდან, არსებული ინფორმაციიდან, პროგრამული, ტექნიკური და კადრებით უზრუნველყოფიდან გამომდინარე. მიზანშეწონილია ფინანსური მდგომარეობის ექსპრეს ანალიზის და ღრმა ანალიზის პროცედურების გამოყოფა.

ფინანსური ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ:

- საწარმოს ქონებრივი მდგომარეობა;
- სამეწარმეო რისკი ხარისხი;
- კაპიტალის საკმარისობა მიმდინარე და მომავალი საინვესტიციო საქმიანობისათვის;
- ფინანსების დამატებითი წყაროების საჭიროება;
- კაპიტალის ზრდის უნარი;
- ნასესხები საშუალებების გამოყენების რაციონალურობა;
- მოგების განაწილებისა და გამოყენების საფუძვლიანობა.

ფინანსური ანალიზი მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანალიზს;
- ფინანსური მდგრადობის ანალიზს;
- ფინანსური კოეფიციენტების ანალიზს;
- ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზს;
- ფინანსური შედეგების, რენტაბელობის კოეფიციენტებისა და საქმიანი აქტიურობის ანალიზს.

ფინანსური ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ სუსტი მხარეები, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და შევიძუშაოთ მათი ლიკვიდაციის ღონისძიებები.

1.2. ფინანსური მდგრადობის არსი და მისი ადგილი ფინანსურ ანალიზში

საწარმოს ფინანსური მდგრადობა მისი ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობა, გამოყენება და განაწილებაა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას მოგებისა და კაპიტალის ზრდის საფუძველზე, გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორებად.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: აქტივების მდგომარეობა და მათი ბრუნვადობა, ფინანსური რესურსების შემადგენლობა და თანაფარდობა, გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურა, ხარჯების სიდიდე და მათი დინამიკა ფულად შემოსავლებთან მიმართებაში.

გარე ფაქტორებს კი - სახელმწიფო საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა; ფინანსური ბაზრის, სადაზღვევო საქმისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ხარისხი, მომხმარებლების შემოსავლების დონე და გადახდისუნარიანი მოთხოვნა, ვალუტის კურსის ცვლილება და საერთო ეკონომიკური სტაბილურობა.

საწარმოების საქმიანობის ფინანსური ანალიზის ჩატარების ძირითადი მიზანია, ობიექტურად შეფასდეს: მათი გადახდისუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა, საქმიანი აქტივობა და საქმიანობის ეფექტურობა. კომპანიები ფინანსური საქმიანობის ანალიზს შემდეგი მიმართულებით ატარებენ:

- საწარმოს ფინანსური შედეგებისა და ბალანსის სტრუქტურის ანალიზი;
- საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზი;
- გადახდისუნარიანობისა და ფინანსური მდგრადობის ანალიზი;
- საქმიანობის ეფექტურობის ანალიზი;
- საქმიანი აქტივობის ანალიზი;
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ანალიზი;
- საწარმოს საქმიანობის სპეციფიკური მაჩვენებლების ანალიზი.

როგორც წესი, ფინანსური საქმიანობის ანალიზი წარმოადგენს ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შემადგენელ ელემენტს, რომელიც, თავის მხრივ, ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის შემადგენელი ნაწილია. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, ფინანსური რესურსები რამდენად სწორად და მიზანმიმართულადაა დაბანდებული საწარმოს აქტივებში. საწარმოს ფუნქციონირების პროცესში აქტივების სიდიდე, მათი სტრუქტურა განიცდის მუდმივ ცვლილებებს. საწარმოს საშუალებების სტრუქტურასა და მათ წყაროებში მიმდინარე ხარისხობრივი ცვლილებების შესახებ, ასევე ამ ცვლილებათა დინამიკის შესახებ

მეტ-ნაკლებად საერთო წარმოდგენა შეიძლება მივიღოთ ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეშვეობით.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ხარისხობრივი ცვლილებებისა და მისი პროგრესულობის ხარისხის კრიტერიუმებად იყენებენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორებიცაა:

- საწარმოს სამეურნეო საშუალებათა ჯამი;
- ძირითადი საშუალებების აქტიური წილი;
- ცვეთის კოეფიციენტი;
- სწრაფად რეალიზებადი აქტივების ხვედრითი წილი;
- საიჯარო ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილი;
- დებიტორული დავალიანების ხვედრითი წილი და სხვა.

ფინანსური საქმიანობის ანალიზი (ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი) ითვლება ფინანსური მენეჯმენტის შემადგენელ ნაწილად, რომელსაც გააჩნია შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

- მოთხოვნადი რესურსების მოზიდვა და ფინანსირების იმ სქემის რეალიზება, რომელიც უზრუნველყოფს ავანსირებული კაპიტალის მინიმალურ ღირებულებას;
- საწარმოს აქტივების მართვა, რაც ხელს უწყობს მაქსიმალური მოგების მიღებას რისკის დასაშვები დონის პირობებში;
- მიმდინარე და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა;
- მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება აქციონერებთან, კონტრაგენტებთან, ბანკებთან და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან;
- გადაწყვეტილებების მიღება ინვესტიციებთან დაკავშირებით და იმ საინვესტიციო პროექტების მართვა, რომლებიც ხელს უწყობს მესაკუთრეთა კეთილდღეობის ზრდას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ფინანსური საქმიანობის ანალიზი წარმოადგენს კომპანიის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბლოკს, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ბიზნესის წარმატებაზე. ფინანსური მდგრადობა საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ მიმზიდველი და სტაბილური

დამსაქმებელი შრომის ბაზარზე, გავაუმჯობესოთ სამუშაო გარემო პერსონალისთვის, გვექონდეს კადრების სტიმულირების მოქნილი სისტემა, ვიმუშაოთ ახალ, ამბიციურ პროექტებზე, უზრუნველვყოთ მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონე და ღირსეულად ვუპასუხოთ ნებისმიერ გამოწვევას.

II თავი. საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და მასზე მოქმედი ფაქტორები

2.1 საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და მისი გაუმჯობესების გზები

ნებისმიერი ორგანიზაცია თავისი დაარსების მომენტიდან მრავალი სახის პრობლემას აწყდება, რომლებიც პროვოცირებენ მწვავე კრიზისს და შედეგად უარესდება სამეურნეო საქმიანობის ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა: ლიკვიდობა, გადახდისუნარიანობა, რენტაბელობა, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობა, ფინანსური მდგრადობა. მწვავე კონკურენციის პირობებში მეურნეობრიობის საბაზრო ფორმები აკოტრებენ ცალკეულ სუბიექტებს ან დროებით გადახდისუნაროს ხდიან მათ. კრიზისი საწარმოს მისი სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება წარმოექმნას. ეს ეტაპებია: იდეის დაბადება, პროექტირება, დაგეგმვა, მშენებლობა, საწარმოო სიმძლავრეების ათვისება, ფუნქციონირება, განვითარება, დაცემა, დახურვა ან რეორგანიზაცია. როდესაც, საწარმო იწყებს თავის საქმიანობას, როგორც წესი, ბაზარზე უკვე მოქმედებს კონკურენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ბაზარზე გარკვეული ნიშის დაკავება, სავაჭრო მარკის პოზიციონირება მარტივი არ არის, სწორედ ამიტომ, მრავალი საწარმო კონკურენციას ვერ უძლებს და კოტრდება. ამ საკითხების რეგულირებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებების სისტემის შემუშავებას, რომლებიც ითვალისწინებენ შეღავათიანი კრედიტების გაცემას, გადასახადებიდან დროებით განთავისუფლებას.

საწარმოთა გაკოტრებამ მასობრივი ხასიათი მიიღო გასული საუკუნის 90-იანი წლებში. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდა მრეწველობის სფეროსათვის. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იან წლებამდე მრეწველობის სფერო ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროს წარმოადგენდა. ბიუჯეტში მისი წილი 50%-ზე მეტს შეადგენდა. მასზე მოდიოდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 36.7%, ეროვნული მეურნეობის 23%, მთელი

ძირითადი ფონდების 32.8% და საბრუნავი საშუალებების 34.3%. მრეწველობაში დასაქმებული იყო 500 ათას მუშაკზე მეტი. თუ 1997 წლის ბოლოს არ ფუნქციონირებდა სამრეწველო საწარმოთა საერთო რიცხვის 36.7%, 1998 წლის ბოლოსათვის უმოქმედო საწარმოთა რაოდენობამ საერთო რიცხვის 37.6% შეადგინა. თუ 1998 წელს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 3 581 სამრეწველო საწარმო, 2008 წლისათვის ეს მაჩვენებელი შემცირდა 2 798 ერთეულამდე. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია საგრძნობლად შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში. მოქმედი საწარმოების რაოდენობა, მათი ბრუნვა, საწარმოებში დასაქმებულების რაოდენობა იზრდება და ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითი გავლენას ახდენს. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით ქვეყანაში რეგისტრირებულია 723 000 საწარმო, მათ შორის აქტიური 183 600 საწარმო, რომელთა ბრუნვაც 85,5 მილიარდ ლარს შეადგენს.

მრეწველობის საწარმოებში წარმოებისა და შესაბამისად, რეალიზაციის მოცულობის მკვეთრად შემცირებამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალდაკვალ ფინანსურ სფეროში წარმოქმნა ისეთი ახალი მოვლენა, როგორცაა საწარმოს გაკოტრება. მას საფუძვლად ფინანსური მიზეზები უდევს, რომელთა შორისაა:

- კორპორაციის ფინანსური მდგრადობის სერიოზული დარღვევა, რომელიც ხელს უშლის მის სამეურნეო საქმიანობას;
- დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კორპორაციის ფულადი ნაკადების მოცულობათა საგრძნობი დაუბალანსებულობა;
- კორპორაციის გადახდისუნარიობის გახანგრძლივება, რაც გამოწვეულია მისი აქტივების დაბალი ლიკვიდობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები არაერთხელ ყოფილა მეცნიერული მსჯელობის საგანი. მართალია, ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები გაატარა, მაგრამ ბევრი საკითხი კვლავ გადაუჭრელია. ჯერჯერობით, მიღწეული არ არის სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლება. ხშირია საწარმოთა გადახდისუნაროდ გამოცხადების შემთხვევები.


ჯერ კიდევ არსებული აღმოსაფხვრელი ხარვეზების მიუხედავად, რეგისტრირებულ საწარმოთა სრული რაოდენობის ბრუნვა ყოველწლიურად იზრდება, რაც ეკონომიკისთვის დადებითი ეფექტის მატარებელია. ასევე, იზრდება აქტიურ საწარმოთა რაოდენობაც. 2019 წლის 1 მაისის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია 737 542 ბიზნეს სუბიექტი, მათგან 184 707 არის აქტიური.

ცხრილი №2.1 რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა

წლები	2014	2015	2016	2017	2018	2019
რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, ერთეული	541289	564 549	598 947	679 500	723 000	737 542
ბრუნვა, მილიარდი ლარი	50,1	57,0	64,1	71,7	85,5	

წყარო: www.geostat.ge


გრაფიკი №2.1



წყარო: www.geostat.ge

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო წლებში მკვეთრად გაზრდილია, შესაბამისად, მცირდება უმუშევრობის დონეც. დასაქმებულთა რაოდენობა პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის მსყიდველობით უნარზე და შესაბამისად, ეკონომიკაზე. დასაქმებულთა რაოდენობა 2000 წელს აღირიცხებოდა 313,4 ათასი კაცი, 2001 წელს 378,1 ათასი კაცი, 2002 წლისათვის ეს მაჩვენებელი შემცირდა 76,8 ათასი კაცით და შეადგინა 301,3 ათასი კაცი. 2003 წლისათვის დასაქმებულთა რაოდენობა ისევ შემცირდა 297,8 ათას კაცამდე. 2004 წლისათვის კი დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 322,7 ათას კაცამდე. 2005 წელს აღირიცხებოდა 388,9 ათასი კაცი. 2006 წლისათვის დასაქმებულთა რაოდენობა ისევ შემცირდა 361,0 ათას კაცამდე. 2007 წელს აღირიცხებოდა 361,2 ათასი კაცი. 2008 წლისათვის დასაქმებულთა რაოდენობა ისევ შემცირდა 349,3 ათას კაცამდე. 2009 წლიდან კი უკვე შეინიშნება დასაქმებულთა რაოდენის ზრდა, გარდა 2018 წლისა, როდესაც დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 660,9 დასაქმებული შეადგინა.

გრაფიკი №2.2



წყარო: www.geostat.ge

ცხრილი №2.2 უმუშევრობის დონე, პროცენტებში

2012 წ	2013 წ	2014 წ	2015 წ	2016 წ	2017 წ	2018 წ
17,2	16,9	14,6	14,1	14,0	13,9	12,7

წყარო: www.geostat.ge

ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. თუ შევადარებთ 1999 წელს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასა და 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ეს მონაცემი 19,5-ჯერ არის გაზრდილი და შეადგენს 40,9 მილიარდ ლარს. ზრდის რეკორდული მაჩვენებელი 2011 წელს დაფიქსირდა, წინა წელთან შედარებით 5,9 მილიარდი ლარით გაზრდილი გამოშვებული პროდუქცია. ხოლო, ბოლო წლების განმავლობაში, ზრდის ყველაზე მცირე მაჩვენებელი 2013 წელს დაფიქსირდა, 0,5 მილიარდი ლარი.

გრაფიკი №2.3



წყარო: www.geostat.ge

წამორქმნილი შეფერხებები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის კუთხით უარყოფითად აისახება საწარმოთა ფინანსური რესურსების მოცულობაზე. აღნიშნული პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყანაში უმუშევრობის დონესთან, რაც განაპირობებს


მოსახლეობის დიდი ნაწილის არამსყიდველობითუნარიანობას. გარდა ამისა, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მცირე მოცულობა, დაბალი ხარისხი და მაღალი საწარმოო დანახარჯები განაპირობებს საწარმოთა დაბალ რენტაბელობას და ზოგიერთ შემთხვევაში ზარალიანობასაც.

დაბალი რენტაბელობისა და ზარალიანობის შედეგად, საწარმოთა საკუთარი საბრუნავი საშუალებები მნიშვნელოვნად მცირდება, ზოგიერთი მათგანი კი საბრუნავ საშუალებებს სრულად კარგავს, რაც იწვევს საწარმოთა ფინანსური ავტონომიის კოეფიციენტის დაცემას და უარყოფითად აისახება ინვესტიციების მოზიდვაზე. ასეთ შემთხვევებში, საწარმოები აღმოჩნდებიან ფინანსურად კრიზისულ მდგომარეობაში, რადგან მათ არ მოეპოვებათ საკმარისი სახსრები საქმიანობის განსახორციელებლად, ინვესტირებისა და კრედიტით სარგებლობისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მრეწველობის დარგში პირველი რიგის ამოცანად ითვლება, საწარმოთა ფინანსების განმტკიცება და ამის საფუძველზე სახელმწიფო ფინანსების სტაბილიზაცია. ამ აქტის განხორციელებისათვის აუცილებელია საწარმოში კრიზისული დიაგნოსტიკის ჩატარება.

საქართველოში 90-იანი წლების მეორე ნახევარში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ დაამტკიცა, რომ საწარმოების წარუმატებლობის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ მისი მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის, აგრეთვე საწარმოო და ფინანსური მართვის ხარისხის გარდაქმნის მეშვეობით. სხვაგვარად რომ ითქვას - წარუმატებელი საწარმოების გაჯანსაღება მიიღწევა მათი რესტრუქტურის გზით ურთიერთდაკავშირებული სისტემური გარდაქმნების საფუძველზე.

ბოლო პერიოდში, ქართული ეკონომიკის წარმოების მიმართებაში ინოვაციის სახით გვევლინება კანონი გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ. საწარმოს გადახდისუნაროდ გამოცხადება საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი იარაღია, რომლითაც სახელმწიფო, საკანონმდებლო ორგანოების სისტემის გამოყენებით, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამიტომ ფინანსური წარუმატებლობის,

როგორც ეკონომიკური მოვლენის გაგება უნდა აისახებოდეს ეკონომიკური სისტემის რეგულირების კანონმდებლობით გამყარებულ მექანიზმში.



საქართველოში სამართლებრივი ბაზის ფორმირების საწყის ეტაპს, რომელიც არეგულირებდა საწარმოების ხელმოკლეობის საკითხებს, წარმოადგენდა 1992 წლის 8 სექტემბერს მიღებული საქართველოს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი "საწარმოთა გაკოტრების შესახებ", თუმცა აღნიშნულ დოკუმენტს არ ჰქონია პრაქტიკული გამოყენება. იგი გაუქმებულ იქნა 1997 წლის 1 იანვარს. უნდა ითქვას, რომ ის "მკვდრადშობილ" კანონად მოგვევლინა. მისი გამოუყენებლობის ფაქტი აიხსნება არა იმდენად იმ პერიოდში ქვეყნად არსებული მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით, არამედ უფრო იმით, რომ გაკოტრების 1992 წლის დეკრეტი გაკოტრების სამართლის ევროპულ სტანდარტებს ჩამოუვარდებოდა. გაკოტრების დეკრეტი, როგორც ნორმატიული აქტი, შორს იდგა თავისი სრულყოფილებისაგან, ვინაიდან იგი შემუშავებულ იქნა სხვა ქვეყნების პრაქტიკის განზოგადების გარეშე. მას საფუძვლად დაედო რუსეთის ფედერაციის ანალოგიური სახელწოდების კანონპროექტი, რომელიც მოკლებული იყო თეორიისა და პრაქტიკის ანალიზს. უფრო მეტიც, ნორმატიულ აქტად ქცეული ქართული დეკრეტი, რუსული კანონპროექტის შეკვეცილ ვარიანტს წარმოადგენდა. და მაინც, 1997 წლის 1 იანვრამდე კანონი "საწარმოთა გაკოტრების შესახებ" რჩებოდა ერთადერთ ნორმატიულ აქტად, რომელიც არეგულირებდა საწარმოების წარუმატებლობასთან დაკავშირებული

პროცედურების გატარების წესრიგს და იგი პრაქტიკულად არ მოქმედებდა. ამ პერიოდში სამართლებრივი ვაკუუმის არსებობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქვეყანაში ხორციელდებოდა საკუთრებითი ურთიერთობების მასიური რეორგანიზაცია, მრავალი საწარმოს პრივატიზაცია. მათ მიმართ გაკოტრების პროცედურის გამოყენება ნაადრევი იყო.

1997 წლის შუა პერიოდისათვის დასრულებულმა ძირითადად ღონისძიებებმა შექმნა ობიექტური წინაპირობები გაკოტრების მექანიზმის არსებობისა და შესაბამისი ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნისათვის. საპასუხოდ მიღებულ იქნა ახალი კანონი "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ". თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ნათელი გახდა, რომ წარუმატებლობის რეგულირების პრაქტიკაში ჩაშვებული მექანიზმი ვერ წყვეტდა მის წინაშე დაყენებულ ამოცანებს. ანტიკრიზისული რეგულირების ფორმირებული სისტემის დაბალი ეფექტიანობის ძირითად მიზეზთა რიცხვს განეკუთვნებიან შემდეგი:

- კანონმდებლობა გაკოტრების შესახებ წარმოადგენდა აბსტრაქტულ მოდელს, რამდენადაც იგი ვერ გახდა ქართული საბაზრო ეკონომიკის კონკრეტული პირობების პროდუქტი, არ იყო რეალური პრაქტიკული დამუშავებები და მოცემული მექანიზმის ფუნქციონირების პრაქტიკა;
- მმართველი კორპუსის მიერ უსიამოვნო გრძნობებისა და ფსიქოლოგიური მიუღებლობა გაკოტრების პროცედურის მიმართ საწარმოში;
- იმ ტიპის მეწარმეთა არარსებობა, რომლებიც ეფექტურად უხელმძღვანელებდნენ წარუმატებელ საწარმოებს;
- რეალური სახელმწიფო დახმარებისა და ინვესტიციების ფართო ზემოქმედების არარსებობა, საწარმოების გაჯანსაღების პროცესის დაწყებისათვის;
- კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

საერთო ეკონომიკური სიტუაციის მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ქვეყანაში და მოქმედი კანონმდებლობის აშკარა ხარვეზებმა იძულებული გახადა კანონმდებლები წარუმატებელი საწარმოების მიმართ ახალი კანონი მიეღოთ. გაკოტრების შესახებ არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით, კანონში "გაკოტრების საქმეთა

წარმოების შესახებ", თითქმის ოთხწლიანი პრაქტიკული გამოცდილებისა და ამ პერიოდში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობის საფუძველზე 2001 წლის 10 აპრილიდან კანონში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები. გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის სრულყოფის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, იყო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილება. მეორე რიგში, ეკონომიკური ინტერესების დაკარგვის შიშით, ხელმძღვანელებისა და მესაკუთრეების სტიმულირება, რათა განევითარებინათ წარმოება და შეექმნათ კონკურენტული პროდუქცია, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორცაა: გაკოტრების თავიდან აცილება, მოვალის ქონების ჩართვა, ეკონომიკის გადარჩენა არაეფექტიანი ბიზნესისგან და კრედიტორებზე ზარალის ანაზღაურება.

კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით, კანონში "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ", კიდევ იქნა შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები 2004 წლის 15 ივნისს, კანონს დაემატა მუხლი 40 „გარდამავალი დებულებები ენერგეტიკული საწარმოების გაკოტრების სპეციალური წარმოების შესახებ". თუმცა კანონმა ძალა დაკარგა 2007 წლის 15 აგვისტოს.

2007 წლის 3 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“. ამ კანონის მიზანია, მოვალისა და კრედიტორის ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა, შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს კანონი არეგულირებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუნარობის საკითხს. კანონის მოქმედება არ ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებსა (გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე. ასევე, ბანკებზე, არასადეპოზიტო დაწესებულებებსა და სადაზღვევო

კომპანიებზე, რადგან მათი გადახდისუნარიობის საკითხი წესრიგდება სხვა არსებული სპეციალური კანონმდებლობით. კანონის მიხედვით, გადახდისუნარიობა განიმარტება როგორც მოვალის უუნარიობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა. გადახდისუნაროდ ცნობისთვის, აუცილებელია განცხადების შეტანა სასამართლოში, რომელსაც საფუძვლად უდევს მოვალის გადახდისუნარიობა ან მოსალოდნელი გადახდისუნარიობა. თუ მოვალე გადახდისუნარიობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას, მაშინ კრედიტორთა კრებაზე ინიშნება მმართველი და იწყება გაკოტრების საქმის წარმოება ამ კანონით დადგენილი წესით. მოვალის ინიციატივით დაწყებული გადახდისუნარიობის საქმის წარმოება მოვალის გაკოტრებით სრულდება არაუგვიანეს 207 დღისა. გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანაზე უფლებამოსილი პირებია: გადახდისუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუნარიობის წინაშე მყოფი მოვალე, საგადასახადო/ საბაჟო ორგანო, კრედიტორი ან კრედიტორები, დადგენილი წესების საფუძველზე. კანონის სრულყოფისა და დახვეწის მიზნით, მასში ცვლილება რამდენჯერმე იქნა შეტანილი, ბოლო ცვლილება კი 2019 წლის 4 აპრილს განხორციელდა.

გეგმიური ეკონომიკის პირობებში საწარმოო საშუალებები სახელმწიფოს კუთვნილებაშია, შესაბამისად, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის სრულ მოცულობასაც სახელმწიფო ქმნის. ეკონომიკის ამ მოდელში კერძო საკუთრება არ არსებობს. ეკონომიკა მუშაობს არა მოთხოვნაზე, არამედ გეგმაზე, რომელსაც სახელმწიფო ბიუროკრატია ადგენს. საბჭოთა კავშირში არ არსებობდა კერძო საკუთრება, სახელმწიფო ფლობდა სრულ მონოპოლიას საკუთრებაზე, აქედან გამომდინარე საწარმოს გაკოტრება შეუძლებელი იყო მისი წარუმატებლობის მიზეზით. გაკოტრების ზღვარზე მისული საწარმოები ინვესტიციებით სარგებლობდნენ, მიუხედავად იმისა, შეძლებდნენ თუ არა ფუნქციონირებას მომავალში ეფექტიანად. მეურნეობრიობის საბაზრო სისტემაში გეგმიანი ეკონომიკისაგან განსხვავებით, წარუმატებლობა აღიქმება როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. უცხოური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბიზნესში ყველა ახალი წამოწყების 75% განიცდის

კრახს პირველ რამდენიმე წელში, ამიტომ გაკოტრების სიტუაცია ტიპურია ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკისთვის.

საქართველომ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა ეკონომიკის ფისკალური სტიმულირებისა და განვითარების კუთხით. 2003 წელს, ხელისუფლების ცვლილების ფონზე მოსულმა ეკონომიკურმა გუნდმა შეამცირა საგადასახადო ტვირთი და გადასახადების რაოდენობა 36 გადასახადიდან 6 გადასახადამდე დაიყვანა. ქვეყანამ, აღნიშნული რეფორმების შედეგად, შეძლო მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ლიბერალური საგადასახადო იმიჯი შეიქმნა ინვესტორების თვალში. უკანასკნელი წლების განმავლობაში სტაბილური და ბიზნესზე ორიენტირებული საგადასახადო გარემოს შექმნის მიზნით, მრავალი საკანონმდებლო ცვლილება შევიდა საგადასახადო კოდექსში. მათ შორის აღსანიშნავია, 2014 წელს ამოღებული 81¹ მუხლი, მსხვილი გადამხდელებისთვის (მაგ. ვისაც ბოლო 12 თვეში ბიუჯეტში 200 000 ლარზე მეტი დამატებული ღირებულების გადასახადი ჰქონდა გადახდილი). 2014 წლის ივნისამდე მოქმედებდა „იმპორტის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის სპეციალური წესი“, რაც გულისხმობდა, რომ საქონლის იმპორტის დროს ასეთი პირების მიერ არ ხდებოდა საბაჟო დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა. დამატებული ღირებულების გადასახადს სრულად გადახდა პირს მოუწევდა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მოხდებოდა იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია. კანონმდებელი იმედოვნებდა, რომ კომპანიები ამ დაზოგილი თანხებით დამატებით ინვესტირებას მოახდენდნენ. მაგრამ ამ შეღავათით მხოლოდ დიდი ბრუნვის მქონე კომპანიები სარგებლობდნენ, რაც პატარა კომპანიებისთვის არაკონკურენტულ და დისკრიმინაციულ გარემოს ქმნიდა. ეს ვითარება ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირში მიღებულ სტანდარტებს, რაც საფუძველი გახდა ამ კანონის გაუქმებისა.

საწარმოებისთვის სტაბილური და მოქნილი საგადასახადო სისტემის შექმნის მიზნით გატარდა და ტარდება მრავალი ღონისძიება. ეტაპობრივად ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირება.

გადამხდელის მიმართ წინა წლებში დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების გადახდევინების შემსუბუქების მიზნით, დავალიანების გადახდევინების გადავადება შესაძლებელი გახდა ერთი წლით, უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა არ აღემატება 5000 ლარს. ჩამოწერას დაექვემდებარა კანონით გათვალისწინებული პერიოდის გადაუხდელი საგადასახადო დავალიანებები, საურავები, ჯარიმები.

განხორციელდა საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია. შემცირდა გადასახადის ვადაში გადაუხდელობისათვის არსებული საურავის ოდენობა და შემსუბუქდა ჯარიმა დღ-ს რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვის.

2013-2014 წლებში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ექსპერტების მიერ განხორციელდა საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და 2014 წლის 30 ივნისს OECD-ის გლობალური ფორუმის მიერ აღიარებულ იქნა, რომ საგადასახადო საკითხებში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

საგადასახადო კოდექსში შესულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცვლილებას წარმოადგენს მოგების გადასახადის ესტონური მოდელის შემოღება (“ესტონური მოდელი”). საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ესტონური მოდელი ძალაში შევიდა. ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა - განვითარების ყველაზე სანდო და პოპულარულ ინდიკატორად მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპში განიხილება და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაც, რომ მშპ-ს ზრდის ტემპის დასაჩქარებლად საგადასახადო რეფორმა განხორციელებინა იყო დროული თუ დაგვიანებული არა. საკანონმდებლო სიახლის გაცხადებული მიზანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. საგადასახადო რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მეწარმეები არ გადაიხადონ მოგების გადასახადს, თუ კომპანიის შემოსავლების ინვესტირებას მოახდენენ ბიზნესში.

რეფორმამდელი მოგების გადასახადის მოდელი ითვალისწინებდა დაბეგვრის მარტივ მოდელს:

შემოსავლებს - ხარჯები=დასახეგრი მოგება * 15% = გადასახადელ მოგების გადასახადს.


რეფორმის სიახლეს წარმოადგენს მოგების გადასახადის ჩათვლის შემოღება ცალკეულ ოპერაციებზე. გამომდინარე იქედან, რომ 2017 წელს კომპანიებს შეიძლება გადაყოლოდათ ბალანსზე გაუცემელი დივიდენდები, კანონმდებელმა გაითვალისწინა აღნიშნული და სპეციალური ფორმულის საფუძველზე შესაძლებელი გახადა 2008 წლიდან 2017 წლამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლა. შესაძლებელია ჩათვლის გაკეთება უცხოეთში გადახდილ გადასახადზე და - წყაროსთან დაკავებულ ან გადახდილ გადასახადის თანხის.

მთავრობამ მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმა გაატარა, რომელს მიზანსაც წარმოადგენს მშპ-ს ზრდა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი დადებითად აისახება საწარმოების ფუნქციონირებასა და მათ განვითარებაზე.

ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში საწარმოთა ფუნქციონირება ხორციელდება თავიანთი ფუნქციების რეალიზაციის მეშვეობით, რომლებიც ყალიბდებიან სამი ძირითადი ელემენტის მეშვეობით: საწარმოს საქმიანობის მიზნები, მისი შინაგანი ცვლადები და გარე სფერო. ამასთან, საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება, როგორც მისი მდგრადი მდგომარეობის და მუდმივი განვითარების აუცილებელი პირობა, მიიღწევა აღნიშნული ელემენტების ოპტიმალური შეთანაწყობით. ჰარმონიული კავშირების არარსებობა განაპირობებს საწარმოს შეუსაბამობას ეკონომიკური სისტემის მოთხოვნებთან და განაპირობებს მის წარუმატებლობას. საწარმოს ფინანსური სიძლიერე არის ეკონომიკური სისტემის ელემენტების ხარისხის, რაოდენობისა და მათი ურთიერთკავშირის ერთობლიობა, რომელიც არსებობს დროსა და სივრცეში.

საწარმოს ფუნქციონირების მდგრადობის დარღვევა ყოველთვის არ არის მისი წარუმატებლობის მიზეზი, საწარმოს წარუმატებლობას ადგილი აქვს იქ, "სადაც დარღვევები იძენენ თვითგანვითარებად ხასიათს და საწარმოს მდგრადობის ფუნქციის აღდგენამ ამ სისტემაზე საწარმოს საკუთარი შესაძლებლობებით ზემოქმედების გზით

შეიძლება არ მოიტანოს საჭირო ეფექტი". კვლევები ადასტურებენ, რომ "აღმოცენების მომენტიდან" წარუმატებლობის პროცესების განვითარება ხდება სპირალისებურად, რომელიც თანდათან აღწევს საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში, ახდენს მისი მუშაობის პარალიზებას და არღვევს ფუნქციონირების არსებულ და მოქმედ მექანიზმებს. წარუმატებლობის განვითარების პროცესი და საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების გადაზრდა გაკოტრებაში მიმდინარეობს ეტაპობრივად.



პირველი ეტაპი - საწარმოს "დაავადების წინა პერიოდი". იგი ხასიათდება საწარმოს ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტის მნიშვნელოვანი პარამეტრების ქრონიკული დარღვევებით. კერძოდ, ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქციის დაკარგვა, შემცირება ან წარმოების მოცულობის საგანგაშო შემცირება; საბაზრო პოტენციალის მნიშვნელოვანი დანაკარგები (კონკურენტების შემადგენლობაში, კლიენტურაში, პროდუქციის ასორტიმენტში არახელსაყრელი ცვლილებები); ამ დროს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არამდგრადია. საშუალო დარგობრივი გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები ხასიათდებიან შემცირების არასასურველი ტენდენციით. დაბანდებული კაპიტალის უკუგების ეფექტიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მცირდება.

მეორე ეტაპი - საწარმოს "დაავადება" ხასიათდება ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტის პარამეტრების უმეტესობის ქრონიკული დარღვევებით.

წარმოებული პროდუქციის ბაზარზე მკვეთრად გამოხატული წარუმატებლობა (ბაზრის წილის შემცირება, პროდუქციის რეალიზაციაში გადაუჭრელი პრობლემები, კონკურენტების პოზიციების გაძლიერება, პრობლემები კლიენტურასთან). პრობლემებია საწარმოს ძირითადი საწარმოო ფონდებით, ნედლეულით, მასალებით, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში. წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგიები არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ძირითადი ფონდები, მასალები და შრომითი რესურსები გამოიყენება არაეფექტიანად. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, ფინანსური პოტენციალი პრაქტიკულად ამოწურულია. არ არსებობს დაბანდებულ კაპიტალზე უკუგება. საქმიანი აქტივობა მნიშვნელოვნად ეცემა.

მესამე ეტაპი - საწარმოს "კრიზისი", ხასიათდება იმით, რომ ყველა ფუნქციონალური შემადგენლის მრავალი მაჩვენებლის მნიშვნელობა აღწევს კრიტიკულ მნიშვნელობას: ბაზარზე კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის არარსებობა, ბაზრის საკუთარი წილის დაკარგვა. ძირითადი ფონდების არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მათი არაეფექტიანი გამოყენება. ტექნიკური და ტექნოლოგიური წარუმატებლობა, მოძველებული მოწყობილობა და ტექნოლოგია, მათი განახლების შესაძლებლობების არარსებობა, ფინანსური პოტენციალის არარსებობა. დაბანდებული კაპიტალის უკუგება მიაღწევს მკვდარ წერტილს და ცდება მას. სახეზეა აშკარა ზარალი. ფინანსური არამდგრადობის უკიდურესი ფორმაა გადახდისუუნარობა, რაც გამოიხატება საწარმოს უუნარობაში შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა აგენტების წინაშე.

იქამდე, სანამ საწარმოს წარუმატებლობა თავის განვითარების მხრივ არ მიაღწევს მესამე ეტაპს, როცა იგი უუნარო ხდება შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები ეკონომიკის სისტემის სხვადასხვა აგენტების წინაშე, წარმოქმნილი ყველა პრობლემა თავს იყრის საწარმოს შიგნით. იმ მომენტიდან, როცა საწარმო თავს ვეღარ ართმევს წარმოშობილ ვალდებულებებს, მოქმედებაში ერთვებიან საბაზრო ეკონომიკის მიერ გამომუშავებული მექანიზმები, რომელთა ფარგლებში საწარმო ვალდებულია იფუნქციონიროს ბაზარზე სანამ სრულად არ დააკმაყოფილებს ყველა წარმოშობილ ვალდებულებას კრედიტორების წინაშე.

მესამე ეტაპი დამამთავრებელი ეტაპია იურიდიულად დადასტურებული საკანონმდებლო აქტებით განმტკიცებული ფაქტი, საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ. საწარმოს წარუმატებლობის განვითარების სამი ეტაპი არ ხასიათდება ზუსტად გამოკვეთილი დროით, რამდენადაც ნებისმიერ ამ ეტაპზე საწარმოს წარუმატებლობას აქვს თავისი სპეციფიკა. ასე მაგალითად, რიგი საწარმოებისათვის მეორე ეტაპი შეიძლება დაიწყოს პრაქტიკულად პირველი ეტაპის პარალელურად, და ზოგიერთ საწარმოში კი ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს ბაზარზე, ყოველთვის ექცევა მთელი რიგი ფაქტორების ზემოქმედების გავლენის ქვეშ, რომელთაც უნარი შესწევთ გამოიწვიონ ეკონომიკური მდგომარეობის დაკარგვა და წარუმატებლობის განვითარება.

საწარმოს განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებაში უდიდესი მნიშვნელობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ენიჭება, რაც საქმიანი აქტივობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას გულისხმობს. აღნიშნული საკითხების შესწავლა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დიაგნოსტიკის, პროგნოზირებისა და საწარმოს გაკოტრების თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების საშუალებას იძლევა. საწარმოს ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას მოგებისა და კაპიტალის ზრდის საფუძველზე, გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორებად. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: აქტივების მდგომარეობა, ფინანსური რესურსების შემადგენლობა და თანაფარდობა, გამოშვებული პროდუქციის სტრუქტურა, ხარჯების სიდიდე, მისი დინამიკა ფულად შემოსავლებთან მიმართებაში. გარე ფაქტორებს კი სახელმწიფო, საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა, ფინანსური ბაზრის, სადაზღვევო საქმისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ხარისხი, მომხმარებელთა შემოსავლების დონე და გადახდისუნარიანი მოთხოვნა, ვალუტის კურსის ცვლილება და საერთო ეკონომიკური სტაბილურობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები, რომელთა მიხედვით მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს მდგომარეობაზე, არის ეკონომიკური ფაქტორები: კერძოდ, შემოსავლების დონე, საპროცენტო განაკვეთი, ვალუტის გაცვლითი კურსი, უმუშევრობის დონე. დანარჩენები, როგორცაა, მაგალითად, სოციალური, იურიდიული, ტექნოლოგიური და პოლიტიკური ფაქტორები, ქმნიან დამხმარე გარემოს. სხვა მოსაზრებების მიხედვით გარემო შეიძლება დახასიათდეს ორი მახასიათებლით: საწარმოზე ზემოქმედების მომცველობით და პერიოდულობით. ეს მახასიათებლები გამოვიყენოთ საწარმოს ახლო და შორი გარემოს დაყოფისათვის. საწარმოს ახლო გარემოცვა შედგება მომხმარებლებისაგან, მომწოდებლებისაგან, სამუშაო ძალისაგან, საფინანსო ინსტიტუტებისაგან, კონკურენტებისაგან და ინვესტორებისაგან. ეს ჯგუფები ეკონტაქტებიან საწარმოს უშუალოდ და შედარებით ხშირად. მეორე მხრივ, ძირითადი გარემო შედგება ძალებისაგან, რომლებიც ვლინდებიან დროდადრო, არარეგულარულად. აქ ჩვენ ვგულისხმობთ სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, იურიდიულ და ტექნოლოგიურ ფაქტორებს.

ფინანსური მდგრადობის ანალიზი გულისხმობს:

- ფინანსური მდგრადობის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების ზოგად შეფასებას;
- ფინანსურ მდგრადობაზე მოქმედი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების რანჟირებას მათი მნიშვნელობის მიხედვით;
- ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების ღონისძიებათა დასახვას, რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას და სათანადო მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

საწარმოს მარაგებისა და დანახარჯების საკუთარი და ნასესხები წყაროებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით განასხვავებენ ფინანსური მდგრადობის შემდეგ ტიპებს:

- აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა;

➤ **კრიზისული (კრიტიკული) ფინანსური მდგომარეობა.**

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება მომგებიანობის მაღალი დონით, მტკიცე საგადამხდელო დისციპლინით. ამ დროს მარაგები და დანახარჯები საკუთარი საბრუნავი სახსრებით მთლიანადაა უზრუნველყოფილი, რაც ასეთი უტოლობით გამოიხატება:

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრები

აღნიშნული თანაფარდობა იშვიათად შეიძლება არსებობდეს და არც შეიძლება იდეალურ მაჩვენებლად ჩაითვალოს, რადგანაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოს მენეჯმენტს არ აქვს უნარი, არ სურს ან არ შეუძლია გამოიყენოს გარე სახსრები ძირითადი საქმიანობისთვის. საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ ფასეულობებში მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდეს.

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს გარანტირებულია საწარმოს გადახდისუნარიანობა. მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და ნასესხები წყაროებით ხდება, რაც ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება გამოისახოს:

საკუთარი საბრუნავი სახსრები – მატერიალური მარაგები – მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები“

ამ შემთხვევაში საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის ოპტიმალური თანაფარდობა არსებობს. მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების ქვეშ იგულისხმება საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხების, კრედიტორული დავალიანებებისა და მიღებული ავანსების ერთობლიობა.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს ირღვევა საგადამხდელო ბალანსი, მაგრამ რჩება გადახდის საშუალებებისა და ვალდებულებათა თანაფარდობის მოზიდული სახსრებით აღდგენის შესაძლებლობა. მარაგებისა და დანახარჯების დაფარვა ხდება არა მხოლოდ დაფარვის „ნორმალური“ წყაროების, არამედ საკუთარი საბრუნავი საშუალებების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები წყაროების, ე.ი. ყველა წყაროების ხარჯზე. ამ

დროს საწარმო იძულებულია ყველა სახის სესხი აილოს მარაგების შესაძენად. აღნიშნული მდგომარეობა შემდეგი სახით გამოისახება:

მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური წყაროები“.

ამავე დროს, ფინანსური არამდგრადობა დასაშვებად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ:

- ✓ საწარმოს მარაგებისა და მზა პროდუქციის ჯამი ტოლია ან აღემატება მარაგების ფორმირებაში მონაწილე მოკლევადიანი კრედიტებისა და ნასესხები საშუალებების ჯამს;
- ✓ დაუმთავრებელი წარმოების და მომავალი პერიოდის ხარჯები ტოლია ან აღემატება საკუთარ საბრუნავ საშუალებებს.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმოში დარღვეულია დისციპლინა, ფულადი ნაკადების მოძრაობის სტაბილურობა, მაგრამ საწარმოს შენარჩუნებული აქვს გადახდისუნარიანობის აღდგენის შესაძლებლობა.

კრიზისული (კრიტიკული) ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმოს მარაგები არ არის უზრუნველყოფილი მათი ფორმირების წყაროებით, საწარმო გაკოტრების ზღვარზე იმყოფება. ამ დროს საწარმოს გააჩნია ვადაზე გადაუხდელი კრედიტორული დავალიანებები და სესხები, ასევე ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები. კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო მთლიანად დამოკიდებულია დაფინანსების მოზიდულ წყაროებზე. ასეთი სიტუაციის ქრონიკული განმეორების შემთხვევაში საწარმო გაკოტრებულად უნდა გამოცხადდეს.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი ერთ-ერთი საწარმოს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები, რომელიც წარმოდგენილია ცხრილი №3 სახით.

ცხრილი №2.3 საკონდიტრო საწარმოს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

N	მაჩვენებლები	2014 წ (ათასი ლარი)	2015 წ (ათასი ლარი)	2016 წ (ათასი ლარი)	2017 წ (ათასი ლარი)	ცვლილება		
						2015 წ	2016 წ	2017 წ
1	ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	16,781	27,932	34,316	38,950	11,151	6,384	4,634

	მიმდინარე აქტივები ანუ საბრუნავი საშუალებები მ.შ	11,424	15,059	16,104	14,479	3,635	1,045	-1,625
	ა) მარაგები	5,294	7,013	8,794	7,255	1,719	1,781	1,539
2	ბ) ფულადი საშუალებები, დებიტორული დავალიანებები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	6,23	8,046	7,31	7,224	1,816	-0,736	-0,086
3	საკუთარი კაპიტალი	11,312	19,882	24,022	25,752	8,57	4,14	1,73
4	გრძელვადიანი სესხები და ვალდებულებები	9,041	15,211	12,359	21,444	6,17	-2,852	9,085
5	მოკლევადიანი სესხები	6,544	3,642	4,626	1,965	-2,902	0,984	-2,661
6	დანარჩენი მოკლევადიანი ვალდებულებები	1,308	4,256	9,413	4,268	2,948	5,157	-5,145
7	საკუთარ საბრუნავ საშუალებათა რაოდენობა	3,572	7,161	2,065	8,246	3,589	-5,096	6,181
8	მარაგების ფორმირების წყაროების საერთო სიდიდე	10,116	10,803	6,691	10,211	0,687	-4,112	3,52
9	საკუთარ საბრუნავ საშუალებათა სიჭარბე/ნაკლებობა	-1,722	0,148	-6,729	0,991	1,87	-6,877	7,72
10	მარაგების ფორმირების ძირითადი წყაროების სიჭარბე/ნაკლებობა	4,822	3,79	-2,103	2,956	-1,032	-5,893	5,059

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

ზემოთ აღნიშნული მეთოდის მიხედვით, საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი ერთერთი საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებით დადგინდა შემდეგი:

- 2014 წელს სრულდება უტოლობა $3,572 < 5,294 < 11,424$, ესე იგი ნორმალურად მდგრადია;
- 2015 წელს სრულდება უტოლობა $7,013 < 7,161$, ესე იგი აბსოლუტურად მდგრადია;
- 2016 წელს სრულდება უტოლობა $2,065 < 8,794 < 16,104$, ესე იგი ნორმალურად მდგრადია;
- 2017 წელს სრულდება უტოლობა $7,255 < 8,246$, ესე იგი აბსოლუტურად მდგრადია.

2.2. საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების კოეფიციენტები

საწარმოს მდგრადობის გამოსაკვლევად არ არის საკმარისი ზოგადი შეფასება. საჭიროა დეტალური ანალიზი, რისთვისაც მიზანშეწონილია ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი სათანადო ინტერპრეტაციების გაკეთება. ფინანსური მდგრადობის ანალიზისთვის სპეციალური ეკონომიკური ლიტერატურითა და ფინანსური ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკით შემოთავაზებული ფინანსური კოეფიციენტები ასეთი სახით დავაჯგუფეთ:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- წასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- სახსრების მანევრირების კოეფიციენტი;
- სახსრების მობილურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი;
- საკუთარი და წასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი;
- გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი;
- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს მესაკუთრეთა წილს მის საქმიანობაში ავანსირებული საშუალებების საერთო ოდენობაში. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0.5 - 0,8 ფარგლებში მერყეობს. რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო მდგრადია საწარმო ფინანსურად. მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი უნდა აღემატებოდეს მოზიდული კაპიტალის წილს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ვალეები საკუთარი სახსრებით დაიფარება. აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია.

$$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$$

ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი მიუთითებს ქონების რა ნაწილია შეძენილი ნასესხები წყაროების ხარჯზე. სასურველია მისი მნიშვნელობა 0,5-ზე ნაკლები იყოს. იგი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{ნასესხები წყაროები}}{\text{ბალანსის აქტივების ჯამი}}$$

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი თავისი ეკონომიკური შინაარსით საწარმოს აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის რეალური შესაძლებლობის მახასიათებელია და იგი გამოიანგარიშება, როგორც მიმდინარე აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის სხვაობის თანაფარდობა საბრუნავი აქტივების ჯამთან. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0,2-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს.

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი

$$= \frac{\text{მიმდინარე აქტივები} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}{\text{საბრუნავი აქტივების ჯამი}}$$

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის პოტენციური შესაძლებლობის მახასიათებელია და საბრუნავი და ბრუნვის გარეშე აქტივების თანაფარდობით გამოიანგარიშება. თუ აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 0.5-ის ტოლი ან მეტია, მაშინ ბალანსის აქტიური ნაწილის სტრუქტურა

დარღვეული არ არის და აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას გაუარესების საშიშროება არ ემუქრება.

$$\text{სახსრების მობილურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$$

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყენებულ საკუთარი საბრუნავი კაპიტალის წილს, ანუ საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში. თავად ამ კოეფიციენტის ნორმალური სიდიდე დარგის თავისებურებებზეა დამოკიდებული და განისაზღვრება საკუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან. მისი საშუალო ნორმატიული მაჩვენებელი მეტია ან ტოლი 0,5-ის.

$$\text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი ზოგადად ახასიათებს საწარმოს ფინანსურ სტრუქტურასა და მდგრადობას. რაც უფრო მეტია საკუთარი სახსრების წილი კაპიტალში, მით უფრო დაბალია კომპანიის ფინანსური რისკები. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით მოვლენად ითვლება. კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არასაიმედო ხდება. მისი გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$\text{საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ნასესხები კაპიტალი}}$$

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის შეფარდებით დაფინანსების წყაროების მთლიან ჯამთან და გვიჩვენებს საკუთარი სახსრების ხვედრით წილს დაფინანსების წყაროების საერთო რაოდენობაში. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ტოლია, ვინაიდან გაანგარიშებაში ერთი და იგივე სიდიდეები მონაწილეობს. (აქტივების და მათი დაფინანსების წყაროების სახით).

$$\text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{დაფინანსების წყაროების მთლიანი ჯამი}}$$

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა და გვიჩვენებს, რამდენჯერ აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს. მაჩვენებლის ზრდა ნასესხები სახსრების ზრდაზე მიუთითებს, რაც საწარმოს ფინანსურ სტაბილურობას საფრთხის წინაშე აყენებს. თუ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთამდე დაეცა, ეს ნიშნავს, რომ ქონებას სრულად აფინანსებენ მესაკუთრეები. მისი გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$\text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი აჩვენებს, გრძელვადიანი აქტივების თუ რა ნაწილია დაფინანსებული გარე ინვესტორების მიერ და რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო დამოკიდებულია საწარმო გარე ინვესტორზე.

$$\begin{aligned} &\text{გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი} \\ &= \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}} \end{aligned}$$

საწარმოს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას ახასიათებს ნასესხები სახსრების გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი, რომელიც სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური ლევერიჯის სახელითაა ცნობილი და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი განსაზღვრავს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს გამოყენებული კაპიტალის თანხაში, მისი ზრდა დინამიკაში უარყოფითი მაჩვენებელია. გამოიყენება ფინანსური ლევერიჯის რამდენადმე სახეცვლილი ფორმა, კერძოდ:

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{სესხები} + \text{პრივილეგირებული კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია. რაც უფრო მეტია ნასესხები წყაროების ხვედრითი წილი, მით მეტი იქნება ამ სესხებზე გადასახდელი პროცენტების ოდენობა. შესაბამისად, უარესდება საწარმოს საქმიანობის ფინანსური

შედეგი. ფინანსური ლევერიჯის დონის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მოგებისა და ფულადი ნაკადის ზრდის ტემპები. ზომიერად მზარდი მოგებისა და ფულადი ნაკადების მქონე კომპანიამ უფრო მშვიდად უნდა აილოს დიდი ვალი, ვიდრე არამყარი და ქაოსური ფულადი სახსრების მქონე კომპანიამ, რის გამოც დეფოლტის შედეგი კომპანიისთვის ძალიან სერიოზულია.

ფინანსური კოეფიციენტების ანალიზით გამოვლინდა, რომ **საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი** გაუმჯობესებით ხასიათდება და 2014 წლის 0,401-დან 2017 წელს 0,481-ს აღწევს, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის სასურველი დონე, ვინაიდან საკუთარ სახსრებს ნასესხები სახსრები აღემატება.

ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი 0,5-ს აღემატება, რაც არასასურველია, მაგრამ ამავე დროს შემცირების ტენდენციით ხასიათდება 2014-2017 წლებში, რაც საკუთარი სახსრების ხვედრითი წილის ზრდაზე მიუთითებს.

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი იდეალურ მაჩვენებელზე მაღალია და გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება. გამონაკლისს წარმოადგენს 2016 წელი, როცა ეს მაჩვენებელი მხოლოდ 0,128-ს აღწევს, რაც ამ პერიოდში მიმდინარე ვალდებულებების, კერძოდ კრედიტორული დავალიანებების ზრდამ გამოიწვია. თავად კრედიტორული დავალიანებების ზრდის მიზეზი კი იყო ფულადი საშუალებების მკვეთრი შემცირება 2015 წელთან შედარებით (2,076 ათასი ლარით, რამაც 13,98% შეადგინა) და დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდის გახანგრძლივება, რის შედეგადაც საწარმომ ვერ შეძლო კრედიტორული დავალიანებების მკვეთრი ზრდის თავიდან აცილება.

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი მიუთითებს, რომ 2014-2015 წლებში აქტივების სტრუქტურა დარღვეული არ არის. 2016 წელს ეს მაჩვენებელი გაუარესებულია, ხოლო 2017 წელს ძალიან დაბალი. ეს მაჩვენებელი, ზოგადად, შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც გარე ინვესტორებზე დამოკიდებულების ზრდის მაჩვენებელია და არასასურველია.

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი 1-ს ვერ აღწევს, თუმცა უახლოვდება და უმჯობესდება.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი 2-ზე მაღალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქტივები 2-ჯერ და მეტად აღემატება საკუთარ კაპიტალს. დინამიკის შესწავლით დადგინდა გაუმჯობესების უმნიშვნელო ტენდენცია.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი 2014-2016 წლებში გაუმჯობესდა, რადგან გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი გამოყენებული კაპიტალის საერთო ოდენობაში შემცირდა, თუმცა უმნიშვნელოდ. 2017 წელს ფიქსირდება ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის საგრძნობი ზრდა, რაც არ არის სასურველი. აღნიშნულის მიზეზს ამ პერიოდში წარმოადგენს გრძელვადიანი ვალდებულებების უფრო სწრაფი ტემპით ზრდა საკუთარ კაპიტალთან შედარებით. ეს უკანასკნელი კი სესხებზე გადასახდელი პროცენტების ზრდას და შესაბამისად, საწარმოს ფინანსური შედეგების გაუარესებას იწვევს. ფინანსური ლევერიჯის ზრდა საწარმოს ფინანსური რისკის ზრდას მოასწავებს. წმინდა მოგება დაბალი იქნება იქ, სადაც ფინანსური ლევერიჯი მაღალია. თუ საწარმოს საქმიანობა მთლიანად საკუთარი სახსრებითაა დაფინანსებული, მაშინ ფინანსური ლევერიჯი ერთის ტოლია. ამ დროს რისკი არ არსებობს, ხოლო მოგების ცვლილება მთლიანად რეალიზაციის მოცულობის ცვლილებით, ანუ საწარმოო პირობებითაა გამოწვეული.

ფინანსური კოეფიციენტების დინამიკა საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი ერთ-ერთი საწარმოს მონაცემების მიხედვით.

ცხრილი №2.4 ფინანსური კოეფიციენტების დინამიკა

N	მაჩვენებლები	2014 წ. (ათასი ლარი)	2015 წ. (ათასი ლარი)	2016 წ. (ათასი ლარი)	2017 წ. (ათასი ლარი)	ცვლილება		
						2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
1	აქტივები (ათასი ლარი)	28,205	42,991	50,420	53,429	14,786	7,429	3,009

2	გრძელვადიანი აქტივები (ათასი ლარი)	16,781	27,932	34,316	38,950	11,151	6,384	4,634
3	მიმდინარე აქტივები (ათასი ლარი)	11,424	15,059	16,104	14,479	3,635	1,045	-0,625
4	საკუთარი კაპიტალი (ათასი ლარი)	11,312	19,882	24,022	25,752	8,57	4,14	1,73
5	გრძელვადიანი ვალდებულებები (ათასი ლარი)	9,041	15,211	12,359	21,444	6,17	-2,852	9,085
6	მიმდინარე ვალდებულებები (ათასი ლარი)	7,852	7,898	14,039	6,233	0,046	6,141	-7,806
7	საკუთარი საბრუნავი სახსრები (ათასი ლარი)	3,572	7,161	2,065	8,246	3,589	-5,096	6,181
8	საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,401	0,462	0,476	0,481	0,061	0,014	0,005
9	ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,598	0,537	0,524	0,518	-0,061	-0,013	-0,006
10	სახსრების მანევრირების კოეფიციენტი	0,313	0,475	0,128	0,569	0,162	-0,347	0,441
11	სახსრების მობილურობის კოეფიციენტი	0,680	0,539	0,469	0,372	-0,141	-0,07	-0,097
12	საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	0,667	0,860	0,909	0,930	0,193	0,049	0,021
13	საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0,316	0,360	0,085	0,320	0,044	-0,275	0,235

14	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	2,49	2,169	2,098	2,075	-0,321	-0,071	-0,023
15	გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი	0,538	0,545	0,360	0,550	0,007	-0,185	0,19
16	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი	0,444	0,433	0,339	0,454	-0,011	-0,394	0,115

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

ზოგადი შეფასებით, საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგრადობა განხილულ პერიოდში ნორმალურია, თუმცა ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე ჩატარებული დეტალური ანალიზით გამოვლენილ იქნა გარკვეული ნაკლოვანებანი. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს სამოქმედო გეგმა, განიხილოს, შეაფასოს, და გადააფასოს თავისი ფინანსური მდგომარეობა სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში. ასეთი ანალიზი დიდ ძალისხმევას და შრომას საჭიროებს, მაგრამ აუცილებელია.

მომდევნო ეტაპზე საწარმომ უნდა განსაზღვროს მიმდინარე პერიოდის მიზნები და ამოცანები და მის მიერ უკვე განსაზღვრული საჭიროებების შესასრულებლად აუცილებელი სახსრების ოდენობა. ბიზნესის ზომაზე მეტად გაფართოება გარკვეულ პრობლემებს უქმნის საწარმოს. ამიტომ სამოქმედო გეგმა ისე უნდა დაისახოს, რომ ის მაქსიმალურ შესაბამისობაში მოდიოდეს არსებულ ფინანსურ შესაძლებლობებთან. ფინანსური მდგრადობის შესანარჩუნებლად აუცილებელია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კომპანიის შესაძლებლობები, მოთხოვნილებები და ვალდებულებები.

ყველაზე შრომატევადი და საპასუხისმგებლო ეტაპი დასახული გეგმის განხორციელებაა. ამიტომ კომპანიამ სისტემატური კონტროლი უნდა დააწესოს მის მიერ დასახული გეგმის განხორციელების მიმდინარეობაზე.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია:

- ✓ მიმდინარე აქტივებში დაბანდებათა კაპიტალის ბრუნვაობის დაჩქარება;
- ✓ მარაგებისა და დანახარჯების ოპტიმალური დონის უზრუნველყოფა;

- ✓ შიდა და გარე წყაროებით საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსება;
- ✓ დებიტორული დავალიანებების ანალიზის საფუძველზე დაფარვის დაბალი ალბათობის მქონე დავალიანებების გამოვლენა, ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა და დებიტორებისგან ვალის ამოღების ღონისძიებათა შემუშავება/გატარება;
- ✓ კრედიტორული დავალიანებების ანალიზი ლიკვიდურობის მიხედვით, ვადაგადაცილებული დავალიანებების გამოვლენა და მათი ჩამოწერის ღონისძიებათა გატარება. კრედიტორული დავალიანებების დაფარვის გრაფიკის შედგენა, შესაძლო გადავადებების და დისკონტების გამოყენებით;
- ✓ მკაცრი ფინანსური დისციპლინის დაცვა საწარმოს პერსონალის მართვასთან დაკავშირებით.

დასახული სამოქმედო გეგმის ზუსტად შესრულება, ჩამოთვლილი და საწარმოს კეთილდღეობისთვის სხვა საჭირო ღონისძიებების გატარება მიიყვანს საწარმოს ფინანსურ მდგრადობას იმ ნიშნულამდე, რომელიც აუცილებელია მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მაქსიმალური მომგებიანობის მისაღებად.

III თავი. საწარმოს ეკონომიკური მდგრადობა და მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები

3.1. კრიზისების მართვის მეთოდოლოგია ორგანიზაციაში და ანტიკრიზისული მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები

სამეწარმეო გარემოს არასტაბილურობის პირობებში არსებობენ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, საწარმოს წინაშე მდგომ გადასაწყვეტ ძირითად ამოცანებს შორის იმყოფება ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირების სისტემის ფორმირება, რომლის დახმარებით საწარმო შეძლებს დროულად აღმოაჩინოს და წინასწარი მმართველობითი გადაწყვეტილებების მეშვეობით აიცილოს წარუმატებლობის პროცესის ჩასახვა და შემდგომი განვითარება. ნათელია, რომ ასეთი ღონისძიებების ჩატარების ეფექტიანობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად იქნება აღმოჩენილი მოახლოებული წარუმატებლობის ნიშნები და რამდენად კვალიფიციურად იქნება განსაზღვრული მიმდინარე უარყოფითი პროცესების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები. ეკონომიკური სიძლიერის პროგნოზირების ფორმირების საჭიროება გარდა აღნიშნულისა, განპირობებულია იმით, რომ საქართველოს უმეტესი საწარმოს ხელმძღვანელობა, როგორც წესი, მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას, უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა ინტუიციას, რაც ნეგატიურად აისახება საბაზრო სფეროში საწარმოს მდგომარეობაზე. ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის სისტემის დანერგვით, შესაძლებელია წარუმატებლობის პროგნოზირება და მისი განვითარების თავიდან აცილება, ამდენად მან საწარმოს ხელმძღვანელობა უნდა უზრუნველყოს შიდა და გარე სფეროს განვითარების ტენდენციის შესახებ ობიექტური ინფორმაციითა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის შექმნას რაციონალური ინფორმაციის საფუძველი.

ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის სისტემის ძირითად ამოცანათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ:

- შიდა და გარე გარემოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და საწარმოში

წარუმატებლობის განვითარების დროული აღმოჩენა;

- შესაძლო გაკოტრების უწყვეტად მოქმედი პროცესის შეფასება;
- საინფორმაციო ბაზის ფორმირება ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებებისათვის, როგორც წარუმატებლობის პროცესის წარმოშობის დაუშვებლობისათვის, ისე გამოჯანსაღების სტრატეგიის დამუშავებისათვის მისი შედეგების რეალიზაციის შემდგომი ანალიზით.

წარუმატებლობის პროგნოზირებისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში, პირველ რიგში, განიხილება ფინანსური ანალიზის მეთოდი. მაგრამ, ეს მეთოდი მართებულია მხოლოდ ნაწილობრივ. მართლაც, ფინანსური ქვესისტემა საწარმოს მდგომარეობის ძირითადი ინდიკატორია. წარუმატებლობის პროცესები, მიუხედავად იმისა, შიდა თუ გარე გარემოდან განვითარდნენ ისინი, ადრე თუ გვიან გამოიყვანდება ფინანსურ ქვესისტემაში. ამავ დროს, მხოლოდ ფინანსური ანალიზის მეთოდის გამოყენებით, საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირების სისტემის წინაშე მდგომი მიზნების მიღწევისა და ამოცანების რეალიზება შეუძლებელია, რადგან მას საფუძვლად უდევს მთელი რიგი კოეფიციენტების გამოთვლა და ახასიათებს ფუნქციონირების ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: საწარმოს აქტივების შემადგენლობა და განთავსება, ფინანსური რესურსების წყაროების დინამიკა და სტრუქტურა, საკუთარი საშუალებების, კრედიტორული დავალიანების არსებობა, საბრუნავი საშუალებების არსებობა და სტრუქტურა, დებიტორული დავალიანება, გადახდისუნარიანობა.

აუცილებელია, ანალიზის სხვა მოდელებისა და მეთოდების გამოყენება. პირველ რიგში, საუბარია ანალიტიკური სამუშაოების გატარებაზე, რომელიც საჭიროა ინფორმაციის შესაგროვებლად საწარმოს შიდა და გარე გარემოს შეფასებისა და პროგნოზირებისათვის. საწარმოში ეკონომიკური მდგრადობის პროგნოზირების ფორმულირებული სისტემის ჩარჩოებში საჭიროა, გამოვეყნოთ ორი ძირითადი მიმართულება, რომლებიც განსხვავდებიან გამოყენებული მეთოდების სისტემითა და გამოყენებული ინფორმაციის მასშტაბით. ასეთებად მიგვაჩნია:

ანალიტიკური (მმართველობითი) პროგნოზირება, რომელიც თავის თავში მოიცავს

წარუმატებლობის განვითარების პროგნოზირებას. როგორც წესი, გამოკვლეული ინფორმაციის ინტერპრეტაციის ხარისხიანი მეთოდის გამოყენებით, ამასთან ინფორმაციის შეგროვება არ შემოიფარგლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საზღვრებით და საშუალებას იძლევა ყველაზე ადრეულ სტადიაზე თავიდან ავიცილოთ საწარმოს წარუმატებლობის პროცესის განვითარება;

ფინანსური პროგნოზირება, იგი მოიცავს საწარმოს ფინანსური ქვესისტემებიდან მოპოვებული ინფორმაციის შეგროვებასა და ინტერპრეტაციას. ხოლო შემდეგ, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებით - ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით შესაძლებლობა გვეძლევა გამოვყოთ ფირმის არამდგრადობაზე მოქმედი ყველაზე მთავარი ფაქტორები და მთელი ყურადღება გადავიტანოთ მათ გამოსწორებაზე.

გავაკეთოთ თითოეული მათგანის მოკლე მიმოხილვა:

საქართველოში, უმეტეს საწარმოში ანალიტიკური (მმართველობითი) დიაგნოსტიკა შედარებით ნაკლებად არის განვითარებული. ამის მიზეზად შესაძლებელია მივიჩნიოთ კვალიფიციური კადრების დეფიციტი და ანალიტიკური ინსტრუმენტების განუვითარებლობა. ამასთან ერთად, სულ უფრო ფართოდ გამოიყენება "სუსტი სიგნალების დიაგნოსტიკა". პროგნოზირების ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დროულად იქნას განსაზღვრული სუსტი სიგნალები - კრიზისული სიტუაციის დადგომის ადრეული და არაზუსტი ნიშნები და დროულად მოახდინონ მათზე რეაგირება. სუსტი სიგნალების დიაგნოსტიკის აუცილებლობა წარმოიშვება მაშინ, როდესაც საწარმოში არასტაბილურობის დონე საკმაოდ მაღალია. ცხრილი 5-ზე წარმოდგენილია სკალა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს არასტაბილურობის დონე ქულებში. არასტაბილურობის მაღალ დონეს შეესაბამება 4-5 ქულა.

ცხრილი №3.1. საწარმოებს შორის არასტაბილურობის დონეები

მახასიათებლები	სტადია				
	სტაბილურობა	რეაქცია პრობლემებზე	განჭკვეტა	გამოკვლევა	შემოქმედება
მოვლენის ჩვეულებრიობა	ჩვეულებრივი	ცდის ექსტრაპოლაციის	მოუღედნელი, მაგრამ წარსულში ანალოგიის		მოულოდნელი და სრულიად ახალი

		ფარგლებში	მქონე		
ცვლილების ტემპი	ფორმის რეაქციაზე ნელი	ფორმის რეაქციასთან შესადარი		ფორმის რეაქციაზე სწრაფი	
მოვლენის წინასწარმეტყველება	წარსულის ანალოგიური	ექსტრაპოლაციის გზით	სერიოზული წინასწარმეტყველი პრობლემები და ახალი შესაძლებლობები	ნაწილობრივ წინასწარმეტყველი სუსტი სიგნალები	
ქულა	1	2	3	4	5

არასტაბილურობის პირობებში საშიშროების წარმოქმნის შესახებ მონაცემები თანდათან იზრდება: თავიდან წარმოიშვება გარე გარემოში ცვლილებების პირველი ნიშნები, შემდეგ განისაზღვრება ამ ცვლილებების შესაძლებელი წყარო და საშიშროება კონკრეტდება (მაგრამ არა იმდენად, რომ გავთვალთ თუ როგორ აისახება ეს საშიშროება საწარმოს შემოსავლებზე). შემდგომში, შესაძლებელი ხდება განისაზღვროს წარმოშობილი საშიშროების წარმოქმნის საწინააღმდეგო ღონისძიებები, თუმცა ინფორმაცია ჯერ კიდევ არ არის საკმარისი შედეგების ანალიზისა და გაანგარიშებისათვის. ისინი შეიძლება გამოითვალოს და გაანალიზდეს მხოლოდ მაშინ, როცა საწარმოს მოქმედება მიმართულია საშიშროების ზემოქმედების შეწყვეტაზე.

მთლიანობაში, შეიძლება გამოვეყნოთ ვითარების ცოდნის ხუთი დონე:

- შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული მხოლოდ იმაში, რომ საწარმოს გარე გარემოში მოხდა რაღაც ცვლილებები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ნათლად არ არის განსაზღვრული;
- ცვლილებების წყაროები და მათი მიმართულებები ხდება უფრო ნათელი;
- ცვლილებების მასშტაბები, სფერო და ხასიათი იღებს კონკრეტულ ფორმას;
- ისახება პრობლემების გადაწყვეტის გზები, თუმცა ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგი კიდევ არ არის ნათელი;
- საშიშროების აღმოსაფხვრელად მიღებული გადაწყვეტილების შედეგი შეიძლება იწინასწარმეტყველო და შესაძლებელია მათი მაღალი სიზუსტით განსაზღვრა.

კონტროლის წარმოების ყველაზე უფრო მიზანშეწონილი მიმართულებაა

მონიტორინგის ორგანიზაცია - უწყვეტი, სისტემატური დაკვირვება საწარმოს გარე და შიდა გარემოებების პარამეტრებზე, შემოსული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე. მონიტორინგი "იჭერს" საწარმოს შიდა და გარე გარემოდან შემოსულ სუსტ და ძლიერ სიგნალებს. სიგნალის მიღების შემდეგ მონიტორინგის სამსახური მომენტალურად შეიმუშავებს წინადადებებს მასზე შესაძლო რეაქციის შესახებ. არსებობს გარე ფაქტორებზე საწარმოს რეაქციის ორი ვარიანტი:

- რეაქცია რეგულარულად განხორციელებული დაგეგმვის საფუძველზე;
- რეაქცია საგანგებო სიტუაციაზე, როცა მოქმედების დადგენილი წესი იცვლება და სწრაფი საპასუხო ზომების მიღებისათვის იქმნება "მიზნობრივი ჯგუფები".

რეაქციის მეთოდის არჩევა დამოკიდებულია კონკრეტული სიტუაციის სისწრაფის განვითარებაზე. არასტაბილურობის მაღალი დონისას, როცა შიდა და გარე სიტუაცია იცვლება საკმაოდ სწრაფად, საწარმოს არ ჰყოფნის დრო დროული გადაწყვეტილების მიღებისათვის, ანუ მომხდარი ცვლილებების ტემპი უფრო მაღალია ვიდრე ამ ცვლილებაზე საწარმოს რეაქცია. ამიტომ დგება გადაწყვეტილების მომზადების საჭიროება შიდა გარემოდან სუსტი სიგნალების შემოსვლისას.

წარუმატებლობის პროგნოზირების სისტემაში ფინანსური პროგნოზირება ანალიტიკურთან შედარებით უფრო გავრცელებული და გაცილებით ხშირად გამოყენებული მიმართულებაა. ეს აიხსნება უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემის მნიშვნელოვანი კვლევებით, ასევე ფინანსური პროგნოზირების - ფინანსური ანგარიშგებით ინფორმაციული ბაზის ჩამოყალიბების ზუსტი წესების არსებობით.

დღეისათვის ეკონომიკურ პერიოდიკაში ხშირად დისკუსიის საგანს წარმოადგენს იმ კოეფიციენტების რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს საფინანსო - სამეურნეო საქმიანობის ანალიზში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი მეტისმეტად ბევრია. გასათვალისწინებელია, რომ ლიკვიდობის და მდგრადობის კოეფიციენტების დიდი ოდენობის გარდა, გაიანგარიშება რენტაბელობის, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის,

ფონდუკუგების და სხვა კოეფიციენტები. არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კოეფიციენტების რიცხვი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრისათვის არ უნდა იყოს შვიდზე მეტი, რადგანაც თუ კი დაკვირვების ობიექტის რიცხვი აღემატება შვიდს, მაშინ მათზე ადამიანური კონტროლი ადვილად იკარგება. არსებობს უფრო რადიკალური მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის საკმარისია ოთხი მაჩვენებელი:

- ფინანსური მდგომარეობა;
- გადახდისუნარიანობა;
- საქმიანი აქტივობა;
- მომგებიანობა

ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლების რიცხვმა შეიძლება 100-ს მიაღწიოს. მაგრამ ეს სჭირდებათ ძალზე ვიწრო სპეციალისტებს და გამოუსადეგარია საწარმოს ხელმძღვანელობისათვის უშუალოდ წარმოებაში. დავა მაჩვენებელთა რიცხვის შესახებ, რომლითაც უნდა შემოვიფარგლოთ არ გადაწყდება მანამ, სანამ დაინტერესებული მხარეები არ დარწმუნდებიან, რომ საწარმოს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის მაჩვენებლები უნდა წარმოადგენდეს არა ნაკრებს, არამედ სისტემას, ე.ი. ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ და არ იმეორებდნენ ერთმანეთს.

პრაქტიკაში საწარმოს წარუმატებლობისა და შესაძლო გადახდისუნარობის შეფასებისათვის იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმებს და კრიტერიულ მაჩვენებლებს. არსებობს ფორმალური და არაფორმალური ხასიათის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც საწარმო შეიძლება აღიარებული იქნეს წარუმატებლად.

საწარმოს წარუმატებლობის ფორმალურ კრიტერიუმებს მიეკუთვნება:

- მოვალის უუნარობა სამი თვის განმავლობაში მთლიანად დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნა ფულად ვალდებულებებზე და შეასრულოს მოვალეობა სავალდებულო გადახდებზე.

არაფორმალური კრიტერიუმები, რომელიც საწარმოს გადახდისუნარობის

ალბათობის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა, შემდეგია:

- საწარმოს ქონების არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურა. პირველ რიგში ეს ეხება საბრუნავ აქტივებს, მათ შემადგენლობაში ძნელად რეალიზებადი აქტივების ზრდის ტენდენციას, ისეთების, როგორცაა საექვო დებიტორული დავალიანება, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგები მიმოქცევის ხანგრძლივი პერიოდით. მიიჩნევა, რომ ასეთ საწარმოს არ გააჩნია უნარი, შეასრულოს აღებული ვალდებულებები.
- საწარმოს სახსრების ბრუნვადობის შენელება. (ზედმეტი მარაგების დაგროვება, მყიდველებთან ანგარიშსწორების მდგომარეობის გაუარესება);
- კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის შემცირება საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის შენელების ფონზე;
- საწარმოს ვალდებულებებში დაბალფასიანი ნასესხები სახსრების ძვირადღირებული სახსრებით შევიწროვების ტენდენცია და მათი არაეფექტიანი განთავსება აქტივებში;
- გადავადებული საკრედიტო დავალიანების არსებობა და მისი ხვედრითი წილის ზრდა საწარმოს ვალდებულებათა შემადგენლობაში;
- დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ოდენობა, რომელიც შეტანილია (ანდა მიკუთვნებულია) ზარალში;
- ვადიანი ვალდებულებების უპირატესი ზრდის ტენდენცია მაღალლიკვიდური აქტივების ცვლილებებთან შედარებით;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების მნიშვნელობათა დაცემა;
- სახსრების მოზიდვისა და განთავსების არა რაციონალური სტრუქტურა, გრძელვადიანი აქტივების ფორმირება სახსრების მოკლევადიანი წყაროების ხარჯზე;
- ზარალი, რომელიც აისახება ბალანსში და სხვ.

მკვლევარების მოსაზრებით, დადებითი (უარყოფითი) ფინანსური მდგომარეობის დამატებითი და მნიშვნელოვანი კრიტერიუმია საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვის მდგომარეობა. საწარმოები, რომელთა საქმიანობა ხასიათდება აღრიცხვის

არასრულყოფილი სისტემით, რაც გულისხმობს სამეურნეო ოპერაციების არასრულ და არადროულ ასახვას, აღრიცხვის დაუდევრობას, უმეტეს შემთხვევებში აწყდებიან ფინანსურ სიმნელებს.

საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის ფინანსურ პროგნოზირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფინანსური ანალიზის საკითხებს. ფინანსური ანალიზის მიზანია საწარმოს მაქსიმალური მომგებიანობის მიღწევის რეზერვების გამოვლენა. პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი შეფარდებითი ანალიტიკური კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ამ დამოკიდებულებათა გავლენას საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე.

ანალიტიკური კოეფიციენტების საშუალებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი შემდეგი მიმართულებით ხორციელდება :

- ორგანიზაციის საქმიანი აქტივობის ანალიზი
- ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის (სტაბილურობის) ანალიზი
- ორგანიზაციის ლიკვიდობის ანალიზი
- საბაზრო აქტიურობის ანალიზი
- რენტაბელობის ანალიზი

ცხრილ 3.2-ზე მოცემული კოეფიციენტების სისტემის უპირატესობა, ჩემი აზრით, არის მათი გაანგარიშების სიმარტივე, მაგრამ საწარმოს წარუმატებლობის გამოვლენისათვის და გადახდისუნარობის პროგნოზირებისათვის მხოლოდ ამ კოეფიციენტების გამოყენებას რიგი სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია:

1. მოცემული კოეფიციენტები დარგების მიხედვით არაფრით განსხვავდებიან, თუმცა ცნობილია, რომ სწორედ ეს კოეფიციენტები იცვლებიან დარგების, რეგიონების, საქმიანობის სფეროებისა და საწარმოების სიდიდის მიხედვით;
2. ჩამოთვლილი კოეფიციენტების გაანგარიშების ალგორითმების არასრულყოფილება. იმისათვის რომ, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტმა რეალურად


გამოხატოს საბრუნავი სახსრების ფორმირების წყაროთა სტრუქტურა, აუცილებელია გავითვალისწინოთ გრძელვადიანი პასივები, ასევე მომავალი პერიოდის შემოსავლები, მოხმარების ფონდი, მომავალი ხარჯებისა და გადასახდელების რეზერვები. იმისათვის რომ, მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი მაკონტროლებულად გამოხატოს საწარმოს გადახდისუნარიანობის დონე, ჩემი აზრით, საჭიროა, ერთი მხრივ, გავითვალისწინოთ ლიკვიდობის დონის რეალურად მქონე აქტივები და მეორე მხრივ, მოვახდინოთ დებიტორული დავალიანების კორექტირება უიმედო ვალების თანხით. მიმდინარე ლიკვიდობისა და საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები საზღვარგარეთულ პრაქტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში. გარდა ამისა, აუცილებელია არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ საწარმოს გრძელვადიანი ვალდებულებების გათვალისწინებაც, რაც განპირობებულია მდგომარეობით, როდესაც ბალანსის მიხედვით გრძელვადიანი აქტივები მოკლევადიანზე უფრო ადრე უნდა დაიფაროს. აქედან გამომდინარე დავასკვნით, რომ მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც გამოიყენება საზღვარგარეთის პრაქტიკაში, საქართველოს პირობებისათვის არ გამოდგება.

3. გადახდისუნარიანობის აღდგენის (დაკარგვის) კოეფიციენტის ექსტრაპოლაციური ხასიათი. მისი გაანგარიშების დროს პრაქტიკულად ხდება საანგარიშო პერიოდში მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციის გადატანა მომავალ პერიოდზე, არ გაითვალისწინება გადახდისუნარიანობის აღდგენის დონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა.
4. გაანგარიშებული მაჩვენებლების სტატისტიკური ხასიათი. სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ერთ უკანასკნელ პერიოდზე გაანგარიშებული მაჩვენებლით შეუძლებელია გაკეთდეს დასკვნა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ დინამიკაში. ეს იმით აიხსნება, რომ უკანასკნელი საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებლები, მიმდინარე პროცესების დინამიკის შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს საანალიზო პერიოდამდე ან მის პერიოდში. ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებელია,

როგორც მინიმუმი, მოცემული მაჩვენებლები გავიანგარიშოთ საანალიზო საწარმოს საქმიანობის უკანასკნელ სამ - ხუთ (თვე, კვარტალი) საანგარიშო პერიოდზე.

ჩამოთვლილი მაჩვენებლების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება გაკეთდეს არასწორი დასკვნა და ეფექტიანად მომუშავე საწარმო გამოვაცხადოთ გადახდისუუნაროდ ან პირიქით - წარმატებულად.

გრაფიკი №3.1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური კოეფიციენტები



შემდეგი პრობლემას წარმოადგენს ანალიზში გამოყენებული კოეფიციენტების სიმრავლე, რაც ართულებს ფინანსური მდგომარეობის ერთმნიშვნელოვნად შეფასებას. იმის

გამო, რომ ზოგჯერ გაანგარიშებული მაჩვენებლების მნიშვნელი და მრიცხველი ემთხვევა ერთმანეთს და ამის გამო მათზე გავლენას ახდენენ ერთი და იგივე ფაქტორები, აღარ ხდება ყველა კოეფიციენტის გამოყენების აუცილებლობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომისტების მიერ წარმოდგენილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური კოეფიციენტები. ასევე, გვთავაზობენ ფინანსური მაჩვენებლების კლასიფიკაციას, რომელიც შედგება შვიდი ჯგუფისაგან. ეს ჯგუფებია:

- ლიკვიდობის მაჩვენებლები;
- აქტივების მართვის კოეფიციენტები;
- ფონდუკუგება;
- რეალიზებული პროდუქციის რენტაბელობა;
- აქტივების რენტაბელობა;
- საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა;
- აქციის ფასი;

მაჩვენებელთა ჩამოთვლილ ჯგუფებში შეტანილია ყველა ის მნიშვნელოვანი გასაანგარიშებელი კოეფიციენტები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს კლასიფიკაცია არ არის სრულყოფილი, ვინაიდან არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორცაა გადახდისუნარიანობა, საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობა, ინვესტიციების რენტაბელობა.

ცხრილი №3.2. საკონდიტრო საწარმოს წმინდა აქტივების შეფასება

	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
აქტივები	28,205	42,991	50,420	53,429	55,595
ვადებულებები	16,893	23,109	26,398	29,667	32,035
წმინდა აქტივები	11,312	19,882	24,022	23,762	23,560

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

საწარმოს წმინდა აქტივები უდრის საწარმოს აქტივების ჯამს გამოკლებული ვალდებულებების ჯამი.

როგორც ცხრილი N3.2-დან ჩანს, საკონდიტრო ნაწარმის მწარმოებელი საწარმოს

აქტივებიც და ვალდებულებებიც 2014 წლიდან 2018 წლამდე იზრდება. მაგრამ, წმინდა აქტივები 2014, 2015, 2016 წლებში იზრდება, ხოლო 2017 და 2018 წლებში გვაჩვენებს კლების ტენდენციას წინა საანგარიშო წელთან შედარებით.

საკონდიტრო საწარმოს წმინდა აქტივებმა უმნიშვნელოვანესი ზრდა დააფიქსირა 2016 წელს 2014 წელთან შედარებით, იგი გაიზარდა 112,36%-ით და უმაღლეს მაჩვენებელს მიაღწია, რომლის აბსოლუტური მნიშვნელობამ შეადგინა 24,022 ათასი ლარი. ასეთი ზრდა განაპირობა კრედიტორული დავალიანების 2.5-ჯერ შემცირებამ, რაც მეტყველებს საწარმოს მდგრად ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელსაც არ უჭირს კრედიტორული დავალიანებების გასტუმრება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია მისი გადახდისუნარიანობის შეფასება. გადახდისუნარიანობა არის საწარმოს უნარი სრულად შეასრულოს თავისი საგადასახადო ვალდებულებები. შესაბამისად, საწარმო გადახდისუნარიანია თუ მისი საბრუნავი აქტივები (ნაღდი ფული, მარაგები, დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები) მის ვალდებულებებზე მეტია ან მისი ტოლია.

ცხრილი №3.3. საკონდიტრო საწარმოს საბრუნავი აქტივებისა და ვალდებულებების შედარება

	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
საბრუნავი აქტივები	11,524	15,059	16,104	14,479	13,450
ვალდებულებები	7,852	7,898	14,039	6,233	6,885
სხვაობა	3,692	7,161	1,965	8,246	6,565

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

საკონდიტრო საწარმოს საბრუნავი აქტივების მდგომარეობა მოცემულია ცხრილში N3.3. როგორც ჩანს, 2014-2018 წლების პერიოდში საბრუნავი აქტივები მეტია მის მოკლევადიან ვალდებულებებზე. ცხრილი 2.3-დან ვხედავთ, რომ მიმდინარე აქტივებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია მატერიალური მარაგები, რომელთა ხვედრითი წილი მთლიან მიმდინარე აქტივებში 2014 წელს 45,54%-დან 2018 წელს გაიზარდა 68,77%-მდე, მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში ისედაც მწირი ფულადი სახსრები შემცირდა

2014 წელთან შედარებით. ის, რომ საწარმოში 2018 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა მატერიალური მარაგები, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის რეალურ გადახდისუნარიანობას, რადგანაც საწარმოს გადახდისუნარიანობის შემთხვევაში შესაძლოა, მარაგები, მზა პროდუქცია და სხვა მატერიალური ფასეულობები რთულად რეალიზებად ან საერთოდ არალიკვიდურ ფასეულობებად იქცეს ვალდებულებების დასაფარად.

ამასთან, აუცილებელია გადახდისუნარიანობის განხილვა მის დინამიკაში. ცხრილი 3.3-ის მონაცემები მეტყველებენ, რომ წმინდა საბრუნავი კაპიტალის ზრდა მეტად ცვალებადია. ასე მაგალითად, თუ 2015 წელს იგი გაიზარდა წინა პერიოდთან შედარებით, 2016 წელს იგი საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 2017 წელს ისევ მოიმატა, თუმცა 2018 წელს მაჩვენებელი ისევ შემცირდა. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მიღებულია, რომ წმინდა საბრუნავი კაპიტალი უნდა შეადგენდეს მოკლევადიანი ვალდებულებების ნახევარს. ამ მხრივ, კი ჩვენს საანალიზო საწარმოში მდგომარეობა არც ისე დამაკმაყოფილებელია. საანალიზო პერიოდის ყველა წელს საბრუნავი აქტივები აჭარბებს მოკლევადიან ვალდებულებებს. თუმცა, წმინდა საბრუნავი აქტივები 2017 წელს აჭარბებს მოკლევადიან ვალდებულებებს, 2015 და 2018 წლებში უმნიშვნელოდ ჩამორჩება, ხოლო 2014 და 2016 წელს საკმაოდ დაბალია.

ჩემ მიერ გაანგარიშებული კოეფიციენტებით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა საწარმოს ბალანსის არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურის შესახებ, რომელიც წარმოადგენს მევალის ქონებისა და ვალდებულებების მდგომარეობას, როდესაც საწარმოს ქონების საშუალებით ვერ ხერხდება ვალდებულებების დაფარვა კრედიტორების წინაშე, მევალის ქონების არასაკმარისი ლიკვიდურობის გამო. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებები გადახდისუნარიანობის აღსადგენად.

გადახდისუნარო საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მიიღება გადაწყვეტილება საწარმოს რეაბილიტაციის შესახებ. საწარმოს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების შემდგომ, საწარმოში ინიშნება რეაბილიტაციის მმართველი და დგება საწარმოს რეაბილიტაციის გეგმა. რეაბილიტაციის მმართველი წარმართავს და უზრუნველყოფს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას.

რეაბილიტაციის პროცესი მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით.

საწარმოს უნარს, დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები ეწოდება ლიკვიდურობა. საწარმო ლიკვიდურია იმ შემთხვევაში, როცა მას შეუძლია დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები საბრუნავი აქტივების რეალიზაციის გზით. საწარმო შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ლიკვიდური. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი K განისაზღვრება საწარმოს მიმდინარე აქტივების ფაქტიური ჯამის შეფარდებით ვადიანი ვალდებულებების ჯამთან შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{\sum A}{\sum P}$$

სადაც A - მიმდინარე აქტივები;

P - ვადიანი ვალდებულებები.

მიღებული კოეფიციენტის მნიშვნელობა არ უნდა იყოს 2-ზე ნაკლები.

ცხრილი №3.4. ლიკვიდობის კოეფიციენტი საკონდიტრო საწარმოსთვის

	2014 წ.		2015 წ. (ათასი ლარი)		2016 წ. (ათასი ლარი)		2017 წ. (ათასი ლარი)		2018 წ. (ათასი ლარი)	
	წლის დასაწყ.	წლის ბოლო	წლის დასაწყ.	წლის ბოლო	წლის დასაწყ.	წლის ბოლო	წლის დასაწყ.	წლის ბოლო	წლის დასაწყ.	წლის ბოლო
საბრუნავი აქტივები	10,452	11,524	11,524	15,059	15,059	16,104	16,104	14,479	14,479	13,450
ვალდებულებები	5,450	7,852	7,852	7,898	7,898	14,039	14,039	6,233	6,233	6,885
ლიკვიდობის კოეფიციენტი	1,92	1,47	1,47	1,91	1,91	1,15	1,15	2,32	2,32	1,95

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

გადახდისუნარიანობის აღდგენის მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის აუცილებელია ბალანსის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშება

პერიოდის დასაწყისისათვის და ბოლოსათვის. გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{ბოლ.}} = \frac{K_{\text{დას.}} + \frac{6}{T}(K_{\text{ბოლ.}} - K_{\text{დას.}})}{2},$$

სადაც, $K_{\text{ბოლ.}}$ - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის ბოლოს;

T - თვეების რაოდენობა საანალიზო პერიოდში;

$K_{\text{დას.}}$ -მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში.

როცა გადახდისუნარიანობის აღდგენის $K > 1$ -ზე, მაშინ საწარმო გადახდისუნარიანია უახლოესი ექვსი თვის მანძილზე; $K < 1$ -ზე, ნიშნავს, რომ საწარმო ამ დროის განმავლობაში ვერ აღადგენს გადახდისუნარიანობას. ცხრილი 3.4-დან შეგვიძლია გავიანგარიშოთ გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტები 2014-2018 წლების პერიოდში.

გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტის გაანგარიშება:

$$2014 \text{ წელი: } K = (1,92 + 6/12(1,47 - 1,92)) / 2 = 0,8;$$

$$2015 \text{ წელი: } K = (1,47 + 6/12(1,91 - 1,47)) / 2 = 0,8;$$

$$2016 \text{ წელი: } K = (1,91 + 6/12(1,15 - 1,91)) / 2 = 0,7;$$

$$2017 \text{ წელი: } K = (1,15 + 6/12(2,32 - 1,15)) / 2 = 0,9;$$

$$2018 \text{ წელი: } K = (2,32 + 6/12(1,95 - 2,32)) / 2 = 1,1.$$

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ საწარმო გადახდისუნარიანი იყო 2018 წელს, ხოლო მისი აღდგენის კოეფიციენტები 2014, 2015, 2016 და 2017 წლებში 1-ზე ნაკლებია, შესაბამისად, 0.8, 0.8, 0.7 და 0.9 ტოლია, ამდენად საწარმო ბუნებრივია ვერ აღადგენდა გადახდისუნარიანობას 6 თვის მანძილზე და ვერ შეძლებდა მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის მნიშვნელობის 2-მდე გაზრდას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უშუალოდ არის დაკავშირებული იმაზე, თუ აქტივებში ინვესტირებული სახსრები რამდენად სწრაფად გარდაიქმნებიან რეალურ ფულად, რასაც კარგად გვიჩვენებს აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი.

აქტივების ბრუნვალობის სიჩქარე განისაზღვრება ფორმულით:

$$K_{\text{აქტ.}} = \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}$$

ცხრილი №3.5. აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი

	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
აქტივები წლის დასწ.	25,800	28,205	42,991	50,420	53,429
აქტივების წლის ბოლო	28,205	42,991	50,420	53,429	55,595
საშუალო სიდიდე	27,003	35,598	46,706	51,925	54,512
ამონაგები რეალიზაციიდან	12,549	22,547	18,504	27,083	29,747
აქტივების ბრუნვალობა	0,47 -ჯერ	0,63 -ჯერ	0,39 -ჯერ	0,52 -ჯერ	0,55 -ჯერ
ბრუნვალობის ხანგრძლივობა დღე	766	571	923	692	654

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

ცხრილ 3.5-ში წარმოდგენილია აქტივების ბრუნვალობა 2014-2018 წლებში. მოცემულის საფუძველზე, 2014 წელს აქტივების ბრუნვალობა 0,47 იყო, 2015 წელს მონაცემი გაუმჯობესებული იყო და შეადგენდა 0,63-ს. 2016 წელს საბრუნავი აქტივების ბრუნვალობა შემცირებულია 0,39-მდე, ასევე გაზრდილია ბრუნვალობის პერიოდი 923 დღემდე. 2017 და 2018 წლებში კვლავ იზრდება აქტივების ბრუნვალობის კოეფიციენტი და მცირდება ბრუნვალობის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით, რაც კომპანიის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მაჩვენებელია.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გადაიქცევიან დებიტორული დავალიანება და მარაგები ნაღდ ფულად.

მარაგები 2018 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა 74%-ით, მიმდინარე აქტივებში მისი წილი 2014 წელს შეადგენს 45%, ხოლო 2018 წელს კი - 69%-ს. როგორც ვხედავთ, მიმდინარე აქტივებში მათ მნიშვნელოვანი წილი უკავიათ, ამდენად საჭიროა მათი ანალიზი. ასევე დებიტორული დავალიანების ზრდა საქონლის მიწოდების ანგარიშსწორების

მიმართულებით ადასტურებს იმას, რომ საწარმო აქტიურად იყენებს თავისი საქონლის მომხმარებლისათვის სასაქონლო სესხის სტრატეგიას. მათი დაკრედიტებით საწარმო, ფექტზროვად უნაწილებს მათ თავის შემოსავალს. ამავე დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს უგვიანებენ ფულის ანაზღაურებას, იგი იძულებულია აიღოს კრედიტი თავისი სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად და ზრდის თავის კრედიტორულ ვალდებულებას.

ცხრილი №3.6. დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობა

	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
საბრუნავი აქტივები წლის დასწ.	10,800	11,524	15,059	16,104	14,479
საბრუნავი აქტივების წლის ბოლო	11,524	15,059	16,104	14,479	13,450
საშუალო სიდიდე	11,162	13,291	15,582	15,292	13,965
ამონაგები რეალიზაციიდან	12,549	22,547	18,504	27,083	29,747
საბუნავი აქტივების ბრუნვადობა	1,12 -ჯერ	1,70 - ჯერ	1,19 - ჯერ	1,77 - ჯერ	2,13- ჯერ
ბრუნვადობის პერიოდი	321	211	303	203	169

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობის, წმინდა საბრუნავი კაპიტალის მაჩვენებლების გაანგარიშებაში გამოიყენება დებიტორული დავალიანება და მარაგები. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გადაიქცევა დებიტორული დავალიანება და მარაგები ნაღდ ფულად.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა;

- დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი;
- დებიტორული დავალიანების წილი საბრუნავ აქტივებში;
- საექვო დავალიანების წილი.

ჩამოთვლილი მაჩვენებლები გაიანგარიშება ფორმულებით:

$$\text{დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა} = \frac{\text{რეალიზაციიდან ამონაგები}}{\text{საშუალო დებიტორული დავალიანება}}$$

$$\text{საშ. დებიტორული დავალიანება} = \frac{\text{დებ. დავალიანება პერიოდის დასაწყისში} + \text{დებ. დავალიანება პერიოდის ბოლოს}}{2}$$

$$\text{დებიტ. დავალიანების დაფარვის პერიოდი} = \frac{360}{\text{დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა}}$$

$$\text{დებ. დავალიანების წილი საბრუნავ აქტივებში} = \frac{\text{დებიტორული დავალიანება}}{\text{საბრუნავი აქტივები}} * 100\%$$

$$\text{საექვო დავალიანების წილი} = \frac{\text{საექვო დებიტორული დავალიანება}}{\text{დებიტორული დავალიანება}} * 100\%$$

საექვო დავალიანების წილი ახასიათებს დებიტორული დავალიანების "ხარისხს". მისი ზრდის ტენდენცია ადასტურებს ლიკვიდობის შემცირებას.

ცხრილში N3.7 მოცემულია დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის გაანგარიშება. რაც მეტია ბრუნვადობის კოეფიციენტი მით უფრო სწრაფად გადაიქცევა დებიტორული დავალიანება ნაღდ ფულად. ჩვენს საანალიზო საწარმოში ეს კოეფიციენტი დინამიკაში გაზრდილია 2014 წლის 2.99-დან 2018 წელს 7.4-მდე.

ცხრილი №3.7. დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის გაანგარიშება

	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
დებიტორული დავალიანება წლის დასაწყ.	5,150	3,250	4,10	6,920	5,785
დებიტორული დავალიანებ წლის ბოლოს	3,250	4,10	6,920	5,785	2,250
საშუალო დებიტორული დავალიანება	4,2	3,675	5,51	6,353	4,018
ამონაგები რეალიზაციიდან	12,549	22,547	18,504	27,083	29,747
ბრუნვადობა	2,99-ჯერ	6,14-ჯერ	3,36-ჯერ	4,26-ჯერ	7,4-ჯერ
ბრუნვადობის პერიოდი	120	59	107	85	49

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

ავტონომიურობის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს ქონების საერთო ღირებულებაში მესაკუთრეთა მიერ დაბანდებული სახსრების წილს, ამდენად იგი ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორებისათვის და საწარმოს კრედიტორებისათვის.

ავტონომიურობის კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი გამოსახულებით:

$$K_{ავტ.} = \frac{\text{საკუთარი სახსრები}}{\text{ბალანსის ვალუტა}} * 100\%$$

როგორც წესი, როცა $K > 50\%$ ან $K = 50\%$, კრედიტორების რისკი მინიმალურია, რადგანაც ნახევარი ქონების რეალიზებით, (რომელიც ფორმირებულია საკუთარი სახსრებით) საწარმო შეძლებს დაფაროს თავისი სასესხო ვალდებულებები.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზისას აუცილებელია ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტის გაანალიზება. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს ყველა იმ წყაროს ხვედრით წილს, რომლის გამოყენებაც შეუძლია საწარმოს ხანგრძლივი დროით.

ფინანსური სტაბილურობის (მდგრადობის) კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$K_{\text{ფინ.მდგრ.}} = \frac{\text{საკუთარი სახსრები} + \text{გრძელვადიანი ნასესხები საშუალებები}}{\text{ბალანსის ვალუტა}} * 100\%$$

მნიშვნელოვანია ფინანსირების კოეფიციენტის გაანალიზება.

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ საწარმოს საქმიანობის რა ნაწილი ფინანსირდება საკუთარი სახსრებით და რა ნაწილი მოზიდული სახსრებით. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით უფრო საიმედოა დამფინანსებელი ბანკებისათვისა და კრედიტორებისათვის.

ფინანსირების კოეფიციენტი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{ფინანსირების}} = \frac{\text{საკუთარი სახსრები}}{\text{ნასესხები საშუალებები}}$$

როდესაც, ფინანსირების კოეფიციენტი $K < 1$ (საწარმოს ქონების დიდი ნაწილი ფორმირებულია ნასესხი საშუალებებით), ეს ადასტურებს გადახდისუნარიანობის საშიშროებას და ართულებს კრედიტის მიღების შესაძლებლობას.

საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოში საკუთარი საბრუნავი საშუალებების არსებობას, რომელიც აუცილებელია მისი ფინანსური მდგრადობისათვის. ეს კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარ კაპიტალსა და არასაბრუნავ აქტივებს შორის სხვაობის შეფარდებით საწარმოს ბალანსზე აღრიცხულ საბრუნავ აქტივებთან, იგი გაიანგარიშება ფორმულით:

$$K_{\text{უზრუნ.}} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} - \text{არასაბრუნავი აქტივები}}{\text{საბრუნავი აქტივები}}$$

აღნიშნული კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობაა 0.1.

ცხრილი №3.8. მდგრადობის შეფასების მაჩვენებლები

	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
საკუთარი სახსრები	11,312	19,882	24,022	25,752	27,850
მოზიდული სახსრები	7,852	7,898	14,039	6,233	6,885
გრძელვადიანი სესხები	9,041	15,211	12,359	21,444	25,150

ბალანსის ვალუტა	28,205	42,991	50,420	53,429	55,595
ავტონომიურობის კოეფიციენტი	0,40	0,46	0,47	0,48	0,50
ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი	0,72	0,81	0,72	0,88	0,95
ფინანსირების კოეფიციენტი	0,67	0,86	0,91	0,87	0,87

წყარო: კომპანიის ფინანსური მონაცემები

ავტონომიურობის კოეფიციენტი 2014, 2015, 2016, 2017 წლების განმავლობაში 50%-ზე დაბალია, ხოლო პერიოდის ბოლოს - 2018 წელს 50%. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საწარმოს ქონების უმეტესი ნაწილი ფორმირებულია ნასესხები წყაროებიდან. რაც შეეხება ფინანსირების სტაბილურობის კოეფიციენტს, მისი მაჩვენებელი მაღალია ავტონომიურობის კოეფიციენტთან შედარებით, რაც იმით არის გამოწვეული, რომ კომპანიას გააჩნია გრძელვადიანი ვალდებულებები.

ჩემ მიერ განხილულ მაგალითში ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი 2014 წლიდან 2018 წლამდე 2-ზე დაბალია. როცა ეს მაჩვენებელი 1-ზე ნაკლებია, უნდა ვივარაუდოთ, რომ საწარმოს გადახდისუნარიობა ემუქრება, რაც გაართულებს კრედიტის მიღების შესაძლებლობას.

ამასთან ერთად, აუცილებელია საკუთარი და მოზიდული სახსრების შესაბამისობის შესწავლა, რომელიც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. არის შემთხვევები, როდესაც აქტივების საერთო მოცულობაში საკუთარი სახსრების წილი მთელი აქტივების ნახევარზე ნაკლებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი საწარმოები ინარჩუნებენ საკმაოდ მაღალ ფინანსურ სტიმულირებას. თუმცა, ეს დამახასიათებელია იმ საწარმოებისათვის, რომელთაც აქტივების მაღალი ბრუნვაობა აქვთ, სტაბილური მოთხოვნაა მათ პროდუქციაზე და მუდმივი ხარჯების დაბალი დონე აქვთ.

კომპანიაში ანტიკრიზისული მართვისთვის მნიშვნელოვანია კრიზისების პროგნოზირება. იგი აერთიანებს გარკვეულ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია მართვის სისტემაში პრობლემების, სუსტი ადგილების გამოვლენაზე. სწორედ ეს გამოვლენილი

ხარვეზები ორგანიზაციის საქმიანობის არასასურველი ფინანსური მდგომარეობის და სხვა ნეგატიური მაჩვენებლების მიზეზებს წარმოადგენენ.

ორგანიზაციაში კრიზისის პროგნოზირების მეთოდებია:

- გარე სფეროს მონიტორინგი;
- ფირმის მდგომარეობისა და კონკურენტული სტატუსის შესაძლო ცვლილებები შესახებ სიგნალების სისტემური ანალიზი;
- ფინანსური მდგომარეობის აუდიტი;
- კომპანიის დავალიანების და საკრედიტო პოლიტიკის ანალიზი;
- რისკების განსაზღვრა;
- ორგანიზაციის საქმიანობის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი;
- ორგანიზაციის მომავალში საქმიანობის შესაძლო მდგომარეობის პროგნოზირება.

კრიზისული მდგომარეობის პროგნოზირების ინსტრუმენტებია: სტატისტიკა, მოდელირება, პროგნოზირება, ექსპერიმენტი, მარკეტინგული გამოკვლევა და ა.შ. ეს ინსტრუმენტები გამოიყენება კრიზისის ტიპისა და მისი გამოვლენის ფორმების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია მაჩვენებელთა ჯგუფი, რომელთა დახმარებითაც განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების შესრულების ხელის შემშლელი ნეგატიური ტენდენციები.

ასეთი მაჩვენებლებია:

- საწარმოს საქონელზე მოთხოვნის დაცემა;
- მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შემცირება;
- კონკურენტის საქონელზე მოთხოვნის ზრდა;
- წარმოების ფაქტორთა პარამეტრების გაუარესება: ნედლეულის და მატერიალური რესურსების მიწოდების შემცირება, ფასების ზრდა მასალებზე, ნედლეულზე და მოწყობილობებზე, გამოგონებების და აღმოჩენების გამოყენებაზე ლიცენზიების ღირებულების ზრდა;

- მონათესავე დარგების წარმოების შემცირება, მათი მეცნიერულ - ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის სტაგნაცია, ინფრასტრუქტურის დარგების მომსახურებაზე ფასების ზრდა;
- ორგანიზაციის კონკურენტული სტატუსის შემცირების ფონზე კონკურენტული ბრძოლის გამძაფრება, მყიდველთა აქტიურად „გადასვლა“ შემცვლელ საქონელზე, ფასობრივი ომები;
- სახელმწიფო და სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობის არახელსაყრელი ცვლილებები: საგადასახადო განაკვეთების ამაღლება და ახალი გადასახადების შემოღება, ლარის სავალუტო კურსის არახელსაყრელი ცვლილება, საბაჟო გადასახადების არახელსაყრელი ცვლილება, ცვალებადი სამოქალაქო და კომერციული კანონმდებლობა, სახელმწიფოს კონტროლი ფასების ცვლილებებზე;
- შემთხვევითი მოვლენები: საწარმოს მდებარეობა სტიქიური უბედურების ზონის რეგიონში, უცხოური ბიზნეს პარტნიორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის არასტაბილურობა, დემოგრაფიული შოკი;
- საწარმოს ტექნიკური რესურსების გაუარესება: ტექნიკური აღჭურვილობის ცვეთა, მორალურად მოძველებულის გამოყენება, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების გამოყენება, რომლებიც ამცირებენ პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ენერჯის მოხმარების გარდაქმნის, გადაცემისა და კონტროლის მოძველებული სისტემების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს მათ დაკარგვას;
- ტექნოლოგიური რესურსების პარამეტრების გაუარესება: სამეცნიერო - კვლევითი და საცდელ - საკონსტრუქტორო სამუშაოების სისტემატურად ჩატარებისათვის პოტენციალის არ არსებობა, ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ერთ სასიცოცხლო მანძილზე ეფექტურად შეცვალოს კომპანიის პროდუქციის წინა თაობა;
- საკადრო პოტენციალის შესუსტება;

- ორგანიზაციული სტრუქტურის მოქნილობის არ არსებობა: მისი უძრაობა და ორიენტირებულობა ფუნქციების შესრულებაზე, ბიუროკრატიზაცია;
- ფინანსური პოლიტიკა ხასიათდება ნასესხები სახსრების სისტემატურად მოზიდვით, მიმდინარეობს ფირმის საკუთარი აქციების კურსის დაცემა.

სისტემური მიდგომის ფარგლებში ჩატარებული კრიზისული პროგნოზირება შესაძლებლობას გვაძლევს უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ გამოკვლეული ობიექტის შესახებ. საწარმოთა პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ანალიზის მეთოდები, რომლებითაც შესაძლებელია მინიმალური დანახარჯებით შეფასდეს რისკები, ფინანსური მდგომარეობა და გაკეთდეს პროგნოზები მომავალი განვითარების ტენდენციებზე. რისკის განსაზღვრისთვის შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკური, ექსპერტული და კომბინირებული მეთოდები. რისკის ანალიზი იწყება მისი წყაროებისა და მიზეზების გამოვლენით. რისკი იზომება, როგორც დანაკარგების გარკვეული დონის ალბათობა. დასაშვებ რისკად შეიძლება მივიღოთ მოგების სრულად დაკარგვის საშიშროება. კრიტიკული რისკი დაკავშირებულია არა მხოლოდ მოგების დაკარგვასთან, არამედ სავარაუდო გამომუშავების სრულად არ მიღებასთან, როდესაც ხარჯების დაფარვა გვიხდება საკუთარი ანგარიშით.

საწარმოთა პრაქტიკაში გამოიყენება ანალიზის სტატისტიკური მეთოდი, რომლის დროსაც შეისწავლება საწარმოს ზარალის და მოგების სტატისტიკა, დგინდება ეკონომიკური უკუგების სიდიდე და სიხშირე, შემდგომ განისაზღვრება მომავლის პროგნოზი. უკუგების ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური რენტაბელობა და ხარჯების (ინვესტიციების) ეფექტიანობა. იგი განისაზღვრება მოგების შეფარდებით მისი მიღებისათვის აუცილებელ ხარჯებთან. კრიზისის დადგომის შემთხვევაში, ფორმირდება ანტიკრიზისული გუნდი, რომელშიც ერთიანდებიან აუდიტორები, ბიზნესის კონსულტანტები და სხვა ექსპერტები. ანტიკრიზისული ჯგუფი ადგენს შექმნილი კრიზისული მდგომარეობის მიზეზებს და ისახავს იქიდან გამოსვლის გზებს. საწარმოს მიმდინარე მდგომარეობის შეფასებისათვის გამოიყენება ფინანსური ანალიზის თანამედროვე ინსტრუმენტები: ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშება, ბალანსის

ლიკვიდობის ანალიზი, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საერთო მიმართულების ექსპრეს ანალიზი, სუბიექტის მეურნეობრიობის ეკონომიკური პოტენციალის შეფასება.

ნებისმიერი საწარმოსათვის ქონების ფორმირების წყაროა საკუთარი და მოზიდული საშუალებები.

საკუთარ წყაროებს მიეკუთვნება:

1. საწესდებო კაპიტალი - საწარმოს დამფუძნებელთა მიერ ერთობლივი შენატანები ღირებულებით გამოხატულებაში;
2. სარეზერვო კაპიტალი - საკუთარი სახსრების წყარო, რომელსაც ქმნის საწარმო კანონმდებლობის შესაბამისად მოგებიდან ანარიცხების გზით;
3. დამატებითი კაპიტალი - წარმოიქმნება ქონების გადაფასების შედეგად მისი ღირებულების ზრდის ხარჯზე, ფასეულობათა უსასყიდლოდ მიღებით, საემისიო შემოსავლებით;
4. ინვესტიციები და სოციალური სფეროს ფონდი, რომელიც წარმოიქმნება მოგებიდან, ანარიცხებიდან და საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან;
5. გაუნაწილებელი მოგება - წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში და არ ყოფილა განაწილებული ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

მოზიდულ სახსრებს მიეკუთვნება:

1. ბანკის გრძელვადიანი კრედიტები - მიღებული ბანკის სესხები ერთ წელზე მეტი ვადით;
2. გრძელვადიანი სესხები - გამსესხებლის სესხები (ბანკების გარდა), მიღებული ერთ წელზე მეტი ვადით;
3. ბანკის მოკლევადიანი კრედიტები - ბანკის სესხები მიღებული ერთ წლამდე ვადით;
4. მოკლევადიანი სესხები (ბანკების გარდა), გამსესხებლის სესხები, მიღებული ერთ წლამდე ვადით;

5. საწარმოს კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ, რომელიც წარმოიქმნება სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების მიღების დროის და ფაქტიური ანაზღაურების თარიღს შორის განსხვავებით;
6. ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დავალიანება, რომელიც წარმოიქმნება დარიცხვის დროისა და მისი გადახდის თარიღებს შორის განსხვავებით;
7. საწარმოს სახელფასო ვალდებულება თავისი თანამშრომლების წინაშე;
8. სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფის ორგანოების წინაშე დავალიანება, რომელიც წარმოიქმნება ვალდებულების აღების დროისა და გადახდის თარიღის განსხვავებით;
9. საწარმოს დავალიანება სხვა სამეურნეო კონტრაგენტების მიმართ.

ფინანსური კრიზისის პირობებში ორგანიზაციის მართვა არის ისეთი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც ერთი მხრივ, მიმართულია ხარჯების ყველა მუხლის შემცირებაზე, ორგანიზაციის ვალის დასაფარავად აუცილებელი ფულადი სახსრების შემოსულობების გაზრდაზე, ხოლო მეორე მხრივ, გაყიდვების მოცულობის ზრდაზე და მოგების თანაბარი ზომით მიღებაზე. მნიშვნელოვანია მართვის ახალი ხერხების გამოყენება, რომლებსაც შეუძლიათ რეორგანიზაციის შედეგად რადიკალურად შეცვალონ არსებული სისტემა. ასეთ ხერხებს მიეკუთვნება: სავაჭრო მარკის პოზიციონირება, საკადრო მუშაობის ოპტიმიზაცია, ხარისხისათვის ბრძოლა, ფასების პოლიტიკა და ა.შ.

საწარმოში ფინანსური კრიზისის დაძლევის ძირითადი მიმართულებებია:

- ხარჯების შემცირება;
- ორგანიზაციაში ფულადი სახსრების შემოსულობების ზრდა;
- კრედიტორული დავალიანების რესტრუქტურის ჩატარება;
- ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა;
- საწარმოს რეორგანიზაციის ან რესტრუქტურის ჩატარება.

კრიზისული მდგომარეობის პირობებში ძალზედ მნიშვნელოვანია ხარჯების ერთი ნაწილის შემცირება და ხარჯების ისეთი ნაწილის გაზრდა, რომლებიც შეუძლიათ ორგანიზაცია გახადონ მომგებიანი. ამ ნაბიჯის გადადგმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

მაშინ, როცა ორგანიზაცია განიცდის ფინანსურ კრიზისს.

ხარჯების შემცირების მეთოდებია: ხარჯების კონტროლი, ხარჯების წარმოქმნის წყაროების ანალიზი, მათი კლასიფიკაცია წარმოების მოცულობაზე დამოკიდებულების დონეების მიხედვით, ხარჯების შემცირების ღონისძიებების ჩატარება, მიღებული ეფექტის შეფასება.

ხარჯების შემცირების ძირითადი მიმართულებებია:

- ხელფასის ფონდის შემცირება;
- ნედლეულსა და მასალებზე ხარჯების შემცირება შედარებით დავალფასიანი კომპონენტების გამოყენების, მომწოდებლებთან ჰორიზონტალური ინტეგრაციის, ადგილობრივ მეწარმეებთან მუშაობის, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე;
- საწარმოო ხარჯების შემცირება მოწყობილობების რემონტსა და მომსახურებაზე, რეკლამაზე, სამეცნიერო, კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე.

კრიზისის პირობებში ორგანიზაციაში ფულადი სახსრების მოზიდვა ძირითადად სამი მიმართულებით უნდა განხორციელდეს. ეს მიმართულებებია:

- კომპანიის აქტივების გაყიდვა და იჯარით გადაცემა;
- გაყიდვების ორგანიზაცია;
- საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის დასაჩქარებლად.

დავალიანების რესტრუქტურისა არის საწარმოსა და მის კრედიტორს შორის გარიგებების მთელი რიგი თანმიმდევრობის მომზადებისა და შესრულების პროცესი. მისი ძირითადი მიზანია კრედიტორების მხრიდან სხვადასხვა სახის საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა: დავალიანების საერთო თანხის შემცირება, პროცენტის გადახდისაგან გათავისუფლება, საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

კრედიტორული დავალიანების ანალიზის ჩატარებისას საჭიროა კრედიტორების დაყოფა პირველი რიგის და მეორე რიგის კრედიტორებად. პირველი რიგის კრედიტორები

არიან ისინი, რომელთა ვალდებულებების ჯამი მთლიან დავალიანებაში შეადგენს 80%. რიგითობა შეიძლება განისაზღვროს გადახდის შეფერხებიდან მიღებული შედეგების თვალსაზრისითაც. მაგალითად, თუკი გადახდის შეფერხება გამოიწვევს მასალის მოწოდების შეწყვეტას, მომწოდებელი შეიძლება მიეკუთვნოს პირველი რიგის კრედიტორს. დანარჩენი კრედიტორების იგნორირება არ შეიძლება, რადგანაც ზოგიერთ მათგანს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოახდინოს გაკოტრების პროცედურის ინიცირება. კრედიტორული დავალიანების ანალიზის დროს მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა საშუალებებს ფლობს საწარმო ვალების დასაფარად. ფულადი ნაკადების პროგნოზი კომპანიას ეხმარება განსაზღვროს დავალიანების ჯამი, რომელთა რესტრუქტურისაცია აუცილებელია და ასევე შეაფასოს შესაძლო თანხა, რომელიც მომავალში უნდა გადაუხადონ კრედიტორებს. თუ საწარმოს კრიზისული მდგომარეობის მასშტაბები მისგან თავის დაღწევის შესაძლებლობას არ იძლევა შიდა რეზერვების რეალიზაციის ხარჯზე, მაშინ საწარმო იძულებული ხდება მიმართოს გარე დახმარებას. ეკონომიკური გაჯანსაღების პროცესი პრობლემურ საწარმოებში ხორციელდება ეტაპობრივად.

პირველი ეტაპი - გადახდისუნარიანობის აღმოფხვრა. მდგრადობის პირობითი დონისგან დამოუკიდებლად, უფრო ზუსტად კი საწარმოს წარმუხატებლობის პირობებში ფინანსური სტაბილიზაციის ღონისძიებათა სისტემაში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გადახდისუნარიანობის აღდგენის უზრუნველყოფა მათი მიმდინარე ვალდებულებების მიხედვით, რათა თავიდან იქნას აცილებული გაკოტრების პროცედურების წარმოქმნა.

მეორე ეტაპი - საწარმოს ფინანსური მდგრადობის აღდგენა. ფინანსური მდგრადობის აღდგენა შეიძლება მიღწეული იქნას იმ შემთხვევაში, როცა საკუთარი ფინანსური რესურსების გენერირების დონე (დადებითი ფულადი ნაკადები) იქნება არა ნაკლები მოხმარებული ფინანსური რესურსების დონესთან შედარებით (უარყოფითი ფინანსური ნაკადები) მისი სიცოცხლისუნარიანობის პროცესში.

მესამე ეტაპი - ეკონომიკური წარმატებულობის აღდგენა და ეკონომიკური იმუნიტეტის ჩამოყალიბება. სრული ფინანსური სტაბილიზაცია მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა საწარმო

უზრუნველყოფს გამოყენებული კაპიტალის ღირებულების სტაბილურ შემცირებას და საწარმოს სრული საბაზრო ღირებულების ზრდას.

საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღებისთვის შემუშავებულმა სტრატეგიამ არახელსაყრელი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყოს გადარჩენისათვის საჭირო საწარმოო განვითარების ტემპები მიმდინარე პერიოდში გაკოტრების საფრთხის შემცირების ფონზე, რომლებიც ანტიკრიზისული მართვის პრაქტიკაში მიღებულია დაიყოს ოპერატიულ, ტაქტიკურ და სტრატეგიულ მექანიზმებად.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ყოველი იმ მექანიზმის შინაარსი, რომლებიც გამოიყენებიან საწარმოს ეკონომიკური გაჯანსაღების ცალკეულ ეტაპზე.

ეკონომიკური გაჯანსაღების ოპერატიული მექანიზმი წარმოადგენს საწარმოს დამცავ რეაქციას არახელსაყრელ ფინანსურ განვითარებაზე და მოკლებულია რომელიმე საწყის მმართველობით გადაწყვეტილებას. იგი მიმართულია ერთის მხრივ, საწარმოს შიდა და გარე მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების შემცირებაზე და მეორეს მხრივ, ფულადი აქტივების გაზრდაზე, რაც ამ ვალდებულებების შესრულებას.

ფინანსური სტაბილიზაციის ამ ეტაპის მიზანი ითვლება მიღწეულად, თუ აღმოფხვრილია მიმდინარე გადახდისუუნარობა ე.ი აბსოლუტური გადახდისუუნარიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე პერიოდში გაკოტრების საფრთხე არ არსებობს. ტაქტიკური მექანიზმი, რომელიც იყენებს ცალკეულ დამცავ ღონისძიებებს, მთლიანად არის საწყისი ტაქტიკა მიმართული ფინანსური განვითარების არახელსაყრელი ტენდენციების აღმოფხვრაზე. საწარმოს ფინანსური წონასწორობა მიიღწევა იმ პირობით, როცა დადებითი ფულადი ნაკადის სიდიდე სამეურნეო საქმიანობის ყველა სახის მიხედვით (საწარმოო, საბაზრო, ფინანსური) განსაზღვრულ პერიოდში ტოლი იქნება უარყოფითი ფულადი ნაკადის საგეგმო სიდიდისა.

3.2. წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების საინვესტიციო ასპექტები და რესტრუქტურისაცია

საწარმოების გაჯანსაღების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფინანსურ მხარდაჭერას. წყაროს მიხედვით, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დახმარება: მესაკუთრეების, საწარმოს კრედიტორ-კონტრაგენტების პროდუქციის გაყიდვისა და რესურსების შექმნის კუთხით, ფინანსური ინსტიტუტების (ნასესხები სახსრები), გარე ინსტიტუციური ინვესტორების, გარეშე კერძო ინვესტორების, ხელისუფლების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მხრიდან.

საწარმოებისათვის ფინანსური დახმარება, როგორც წარმოების გაჯანსაღების პროცესის შემადგენელი ნაწილი, გულისხმობს ამ დახმარების წარმართვას კაპიტალის აღდგენაზე გაკოტრების საშიშროების შემთხვევაში. ასე, რომ გაჯანსაღება საბოლოოდ წყვეტს იმავე ამოცანას, რა ამოცანასაც წყვეტს კაპიტალის მარტივი კვლავწარმოების პროცესში ინვესტიციები. ამიტომ სანაცის ფინანსური მხარდაჭერა განხილული უნდა იქნას როგორც რეალური წარმოების ანტიკრიზისული ინვესტირების საფუძველი, ხოლო სანაცია შესაბამისად, როგორც მსგავსი სახის ინვესტირების მექანიზმი. წარუმატებელი საწარმოს ფინანსური დახმარების აღმოჩენის მექანიზმი შეიძლება წარმოდგენილი იქნას პირდაპირი და ირიბი ინვესტიციების ფორმით.

პირდაპირი ინვესტიციების ფორმა გულისხმობს საწარმოში ნებისმიერი სუბიექტის მხრიდან რეალური ფინანსური სახსრების დაბანდებას, რომელიც უზრუნველყოფს იმ დანახარჯების დაფინანსებას, რომლებიც საჭიროა წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორების გასანეიტრალებლად. მათ შორის შეიძლება იყოს დაკრედიტების გზით მიღებული სახსრები (კომერციული კრედიტები, ფინანსური ინსტიტუტების სესხები, ობლიგაციების, თამასუქების და საწარმოს სხვა ფასიანი ქაღალდების განთავსება); სახსრები, რომელიც შემოედინება საწარმოში საკუთარი კაპიტალის გაზრდის მიზნით (მესაკუთრეების დამატებითი შენატანები, საკუთრების ტიტულოვანი ფასიანი ქაღალდების განთავსება მესამე პირებს შორის); სახსრები, რომლებიც მიღებულია

უსასყიდლო დახმარების სახით (სპონსორების სახსრები და ტრანსფერები სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოებიდან). ნებისმიერ შემთხვევაში ადგილი აქვს პირდაპირ დაბანდებას წარუმატებელ საწარმოს დამატებით სახსრებში. მოცემული ფორმა შეიძლება განხილული იქნას როგორც პირდაპირი ინვესტიციები დაფინანსების მიზნით. ინვესტიციების სხვა ფორმა არ ღებულობს პირდაპირი ფინანსური ნაკადების სახეს, არამედ გულისხმობს საწარმოს გაჯანსაღების საწყისი პროცესისათვის უკვე ჩამოყალიბებული ფინანსური ურთიერთობების მოწესრიგებას და ოპტიმიზაციას. ძირითადი ღონისძიებებია წარუმატებელი საწარმოს ფინანსური ვალდებულებების, კერძოდ კი სავალო ვალდებულებების რეალიზაციის ფორმებისა და პირობების შეცვლა. ამ ღონისძიებების ვარიანტები მეტად მრავალფეროვანია. მათ რიცხვშია - დავალიანების გადავადება, მისი სრული ან ნაწილობრივი ჩამოწერა, პროცენტის გადახდის წესისა და დარიცხვის პირობების ცვლილება, დავალიანების ჩანაცვლება ახალი ნასესხები სახსრებით, დებიტორული დავალიანების კონვერსია, ბიუჯეტის მიმართ საწარმოს ვალდებულებებზე სხვადასხვა შეღავათების მიცემა, მესაკუთრეებთან დივიდენდების გადახდის მორატორიები და ბევრი სხვა.

ცხრილი №3.9. წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღებაში ინვესტიციები

პირდაპირი ინვესტიციები	ირიბი ინვესტიციები
<p>გრძელვადიანი საკრედიტო რესურსების ზრდა:</p> <ul style="list-style-type: none"> - გრძელვადიანი სესხის მიღება საერთო წესით; - სახსრების მიღება გრძელვადიანი ვალდებულებების (ფასიანი ქაღალდების) განთავსების წესით; - გრძელვადიანი შეღავათიანი სესხების მიღება; <p>მოკლევადიანი საკრედიტო რესურსების ზრდა:</p> <ul style="list-style-type: none"> - მოკლევადიანი საკრედიტო სესხების მიღება საერთო წესით; - მოკლევადიანი შეღავათიანი სესხების მიღება; 	<p>კრედიტორის მიერ საწარმოს დადგენილი დავალიანების ზომის შემცირება:</p> <ul style="list-style-type: none"> - დავალიანების ჩამოწერა; - დავალიანების კონვერსია საკუთრების ტიტულში; - დავალიანების კონვერსია მიმოქცევის მოკლევადიან ვალდებულებებში; - დავალიანების კონვერსია გრძელვადიან ვალდებულებებში; <p>დავალიანების დაფარვის პირობების ცვლილება:</p> <ul style="list-style-type: none"> - დავალიანების ვადის გაგრძელება; ვალდების გადაფორმება.

წარმოების სექტორის უკვე არსებულ რგოლში ინვესტირების მიზანია აქ შექმნილი მოგების ზრდის უზრუნველყოფა გრძელვადიან პერიოდში ორი ფაქტორის ხარჯზე: სიმპლავრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი პროგრესის ხარჯზე და ამის საფუძველზე წარმოების ფაქტორების უკუგების გადიდება. უკვე იკვეთება ინვესტიციების მნიშვნელოვანი მიზანი, ხელი შეუწყოს საწარმოს ეკონომიკურ მდგრადობას.

წარუმატებელ საწარმოებში ინვესტირებას აქვს რიგი სპეციფიკა. კერძოდ:

- ფინანსური დახმარება შეიძლება გაწეულ იქნას როგორც პირდაპირი (რეალური ფინანსური დაბანდებები წარუმატებელ საწარმოში), ასევე, ირიბი ინვესტიციებით, რომლებიც მოწოდებულნი არიან გარკვეულ პერიოდში შეამცირონ ზეწოლა წარუმატებელ საწარმოზე მისი ფინანსური გარემოცვიდან და ამის ხარჯზე მიღწეული იქნას სანაცის განხორციელებისათვის შიდა და გარე რესურსების მობილიზაციის უკეთესი პირობები;
- გაჯანსაღების პროცესის ინვესტირების მოტივაცია ინვესტორებისათვის ემსახურება არა შემოსავლების მაქსიმალიზაციას, არამედ დანაკარგების მინიმიზაციას;
- წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღებაში ფინანსური მონაწილეობა რიგ შესაძლებლობებს აძლევს "ორდინალურ" ინვესტორებს. კერძოდ, მათზე კონტროლის უფლების მოპოვებას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას საკუთარი საბაზრო სტრატეგიის რეალიზაციისას.

წარუმატებელი საწარმოს გაჯანსაღების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მისი რესტრუქტურირება. საწარმოთა რესტრუქტურირება განიხილება, როგორც ზარალიანი საწარმოების შემცველი სამეურნეო სისტემიდან ნორმალურად ფუნქციონირებად საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი, როცა საწარმოთა უმრავლესობა რენტაბელური ხდება და დამოუკიდებლად, ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეუძლია სხვა საწარმოებთან კონკურენცია.

საწარმოთა რესტრუქტურირება მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადამსვლელი ქვეყნებისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი მუდმივ, კომპლექსურ პროცესს

წარმოადგენს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საწარმოები იძულებულნი არიან განახორციელონ რესტრუქტურირება, იმისთვის, რომ მუდმივად ცვლად ეკონომიკურ გარემოში, სადაც ადგილი აქვს ტექნოლოგიურ განვითარებას და სხვა საწარმოებთან კონკურენციას, შეინარჩუნონ მათთვის სასურველი ან უბრალოდ მინიმალურად აუცილებელი რენტაბელობის დონე. საწარმოთა უწყვეტი რესტრუქტურირების პროცესი განაპირობებს მწარმოებლურობის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკის ზრდისთვის დადებითი ეფექტის მომტანია. ეს უკანასკნელი კი განაპირობებს სახელმწიფოს გამართულ ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სახელმწიფოს მთავრობა დაინტერესებულია რესტრუქტურირების სწორი პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით.

საწარმოთა რესტრუქტურირებაში ტრადიციულად ოთხი ძირითადი კომპონენტი გამოიყოფა, ესენია:

- პოლიტიკური რეფორმაცია;
- მართვის სრულყოფა;
- საქმიანობის რესტრუქტურირება;
- ფინანსური რესტრუქტურირება.

აქედან, პირველი სამი ოპერატიული რესტრუქტურირების სახელით არის ცნობილი. პოლიტიკური რეფორმაციის ობიექტია კონკურენციის და სტიმულირების წახალისება, რაც გამოიხატება საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფაში, მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებაში. მართვის სრულყოფა ვლინდება მართვის მენეჯმენტის სრულყოფაში, რაც გულისხმობს ხელმძღვანელი კადრების გადამზადებას, მასტიმულირებელ სისტემებს, საკადრო ცვლილებებს. საქმიანობის რესტრუქტურირება კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენაა მიმართული, რაც საქმიანობის სეგმენტირებას, სტრატეგიულ განვითარებასა და ტექნიკურ გადაიარაღებას უკავშირდება. ფინანსური რესტრუქტურირება ხორციელდება რეკაპიტალიზაციის ან პრივატიზაციის მეშვეობით. მის ელემენტებს წარმოადგენს: ვალდებულებების შემცირება, პარტნიორთა ცვლა, ახალი აქციონერების მიღება, საკუთარი კაპიტალის ცვლილება.

ტრანსფორმაციული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ხშირად ოპერატიული რესტრუქტურიზაცია წარმოადგენს ფინანსური რესტრუქტურიზაციის მოსამზადებელ ეტაპს. მსოფლიო ბანკის სპეციალისტების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით ოპერატიულ რესტრუქტურიზაციაში ძირითად მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ:

- დადებითი ოპერაციული ფულადი ნაკადების გამომუშავება;
- სამუშაო ძალის პროდუქტიულობა;
- ყველა ფაქტორის პროდუქტიულობა;
- საექსპორტო ოპერაციათა მოცულობის ზრდა .

როდესაც საუბარია წარუმატებელი საწარმოების ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე, მისი განხორციელების ხერხებსა და მეთოდებზე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ იგი უნდა განხორციელდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით. საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენის შესაძლო მიმართულებების ანალიზი თვალნათლივ ადასტურებს, რომ რეაბილიტაციის პროცესი მჭიდროდ და განუყოფლადაა დაკავშირებული საწარმოო სისტემების რესტრუქტურ-იზაციის პროცესთან. სამეურნეო საქმიანობის პრაქტიკაში უკანასკნელ დროს ფართოდ გამოიყენება ცნება: "საწარმოს რესტრუქტურიზაცია", "საწარმოს რეფორმირება". აღსანიშნავია, რომ მრავალი მკვლევარი და პრაქტიკოსი ამ ტერმინებს თავისებურად განმარტავენ. შედეგად ადგილი აქვს სხვადასხვა ცნებების აღრევას, რაც აისახება ოფიციალურად გამოშვებულ დოკუმენტებში. კერძოდ, ნორმატიული დოკუმენტების კრებულში, რეფორმირება წარმოდგენილია როგორც საწარმოთა მოქმედების პრინციპების შეცვლა, რაც მიმართულია მათ რესტრუქტურიზაციაზე.

საწარმოთა რეფორმირება არის მისი საქმიანობის ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნა ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით საბაზრო ეკონომიკის პირობებში. რეფორმირების პროგრამა აღგენს ღონისძიებათა ოპტიმალურ თანმიმდევრობას გარდაქმნათა შემუშავებისა და რეალიზაციის თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროში (მართვის ახალი სისტემის შექმნა, ახალ ტექნიკაზე და პროგრესულ ტექნოლოგიებზე გადასვლა, წარმოების დივერსიფიკაცია და სხვა). ასევე აკონტროლებს და კორექტირებას უკეთებს აღნიშნული

ღონისძიებების შესრულების (განხორციელების) მსვლელობას მიმდინარე მონიტორინგის საფუძველზე.


საწარმოთა რესტრუქტურირება არის მისი საქმიანობის ყველა სფეროს სტრუქტურული გარდაქმნა არსებული ყველა სახის რესურსის (მატერიალური, შრომითი, ფინანსური, ინტელექტუალური) ეფექტიანი განაწილებისა და გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით. იგი არის საწარმოს რეფორმირების საერთო პროგრამის ნაწილი და შესაბამისად იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც რეფორმირების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი, რომელიც განაპირობებს საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. უცხოური კვლევები ადასტურებენ, რომ რესტრუქტურირების განხორციელებისას მეურნეობრიობის სხვადასხვა დარგებში მიიღწევა მწარმოებლურობის ამაღლება ერთ მომუშავეზე 12-20%-ით, მცირდება პროექტის რეალიზაციის საინვესტიციო ციკლი 13-15%-ით, ხოლო მთლიანად პროექტის რეალიზაციის ციკლი 7-9%-ით. საქართველოს პირობებში, წარმოების ღონის ამაღლებისათვის არსებობს გარკვეული რეზერვები, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდების გამოყენებით, რეფორმირების ეფექტიანობა შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს.

წარუმატებელ საწარმოთა გაჯანსაღების ღონისძიებები აისახება იმ სამ ძირითად მიმართულებაში, რომელთა სხვადასხვა შეხამება შესაძლებელს ხდის დაძლიონ ნებისმიერი ფუნქციონალური სფეროს პრობლემები და წინააღმდეგობები.

პირველი მიმართულება დაკავშირებულია საწარმოს კაპიტალსა და აქტივებზე საკუთრებითი ურთიერთობების რესტრუქტურირებასთან. საკუთრებით ურთიერთობების რესტრუქტურირება მიზანშეწონილია მაშინ, როცა მესაკუთრე მასზე დამოკიდებული მიზეზების გამო ვერ ახერხებს საწარმოს ქონების ეფექტიანი გამოყენების გენერირებას, ანდა ვერ ახერხებს ამ ინტერესების გარდაქმნას მეწარმის საქმიანობის ძირითად მიზნად. თანაც საწარმოს ეს უუნარობა ხდება საწარმოს წარუმატებლობის შემდგომი განვითარების ფაქტორი. განხილული მიმართულება გულისხმობს საკუთრების სუბიექტის გარდაქმნას, მისი მოცულობის, შემადგენლობის, განაწილების სტრუქტურის


ცვლილებებს და მისი უფლებების განმტკიცებას საწარმოს საკუთარ კაპიტალთან მიმართებაში. მაგრამ, სამართლიანია იმის მტკიცება, რომ საკუთრების ცვლილება არ არის წარმატების გარანტი წარმოების რეორგანიზაციის და დაგროვილი პრობლემების გადაჭრის სფეროში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია ცვლილებებზე, რომლებიც ხორციელდება არასტაბილური გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საქართველოში. თუ მესაკუთრის მთავარი მოტივია შემოსავალი, ხოლო მისი მიღება შექმნილ პირობებში შესაძლებელია წარმოების განვითარების გარეშე, საკუთრებით ურთიერთობებში ცვლილებები არა თუ ვერ შეცვლიან კრიზისულ სიტუაციას უკეთესობის მიმართულებით, არამედ შეიძლება ხელი შეუწყონ მათ გაღრმავებას. ამას ირიბად ადასტურებს ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოში წარმოების კერძო სექტორის გაფართოებასთან ერთად ფიქსირდება საწარმოთა მოგების დაგროვების ნორმის შემცირების და მისი არასაწარმოო დანიშნულებით გამოყენების ტენდენცია მისი ორგანიზაციულ - ტექნიკური გადაიარაღების საზარალოდ.

გრაფიკი №3.2 საკუთრების სუბიექტის რესტრუქტურირება



საწარმოს გაჯანსაღების მეორე მიმართულება დაკავშირებულია საწარმოს ორგანიზაციული საქმიანობის რესტრუქტურირებასთან, რომელსაც ახორციელებს მეწარმე (ცხრილი 3.11). იგი გამიზნულია მეწარმის მოქნილი ადაპტაციის უზრუნველყოფასთან არსებულ მიკრო და მაკრო გარემოში. იგი რეალიზდება მეწარმის მხრიდან საწარმოს საქმიანობის კონტროლის, წარმოების სქემის, შემადგენლობისა და ხარისხის ცვლილების გზით.

გრაფიკი №3.3 მეწარმის რესტრუქტურირება



მესამე მიმართულება გულისხმობს საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეების კომპლექსურ რეორგანიზაციას. ეს გარდაქმნა ითვალისწინებს საწარმოს სიმძლავრეებისა და ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური სტრუქტურის შეგუებას ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ კონიუქტურასთან. საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის რეორგანიზაცია მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

პირველი - საწარმოში გამოყენებული წარმოების ტექნოლოგიური ხერხების შემადგენლობის შეცვლა. ასეთი ღონისძიებების აუცილებლობა წარმოიქმნება ორ შემთხვევაში. ერთი დაკავშირებულია საზოგადოების მხრიდან მოთხოვნის არ არსებობასთან, რათა საწარმომ შეასრულოს ტრადიციული ფუნქციები, რომ სრულად შეინარჩუნოს მისი საწარმოო ორიენტაცია და ტექნოლოგიური გარდაქმნები. დარგში შეღწევა და მისი საწარმოების ძირითად მასაზე დაყრდნობით ტრადიციული პროდუქტების წარმოების ახალი ტექნოლოგიური ხერხების განმტკიცება;

მეორე - საწარმოს საქმიანობის მასშტაბებისა და პროფილის შეცვლა, რომლისთვისაც დამახასიათებელია პროდუქციის ძირითადი სახეობებისა და გამოშვების სტრუქტურის ჩამონათვალი. მოცემული ღონისძიება მიმართულია საწარმოს საწარმოო - ტექნოლოგიური ფუნქციისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ჩამოყალიბებულ სტრუქტურასთან შესაბამისობის დამყარებაზე. საწარმოს ტექნიკური ბაზისიდან გამომდინარე, ამ ღონისძიების რეალიზაციას შეიძლება ჰქონდეს წმინდა ორგანიზაციული ხასიათი, მაგრამ

შეიძლება ითვალისწინებდეს სიმძლავრეების მნიშვნელოვან განახლებას და სტრუქტურულ გარდაქმნას. საწარმოს ფუნქციების ასეთი ოპტიმიზაცია დაკავშირებულია ორგანიზაციულ - ტექნოლოგიური გეგმის მნიშვნელოვან პრობლემებთან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ გარეგნული სიმარტივისა და მიმზიდველობის მიუხედავად, აღნიშნული ღონისძიება ფართო გავრცელებას ვერ პოულობს. მაგალითად, არსებული შეფასებების თანახმად სამამულო საწარმოების 80%-ი მიუხედავად არახელსაყრელი მდგომარეობისა ცდილობს არ შეცვალოს საქმიანობის არსებული პროფილი;


მესამე - საწარმოს რეალური კაპიტალის, მისი აქტივების ცვლილება. რეალური კაპიტალის ცვლილება შეიძლება მრავალი მიმართულებით. იგი შეიძლება განხორციელდეს კაპიტალის სიდიდის ცვლილების ფორმით იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გამოწვეულია წარმოების არაოპტიმალური მასშტაბებით, ხოლო სხვა მასშტაბებზე გადასვლა არსებული საწარმოო სიმძლავრეების პირობებში შეუძლებელია. მან ასევე შეიძლება მიიღოს კაპიტალის ფიზიკური სტრუქტურის ცვლილების ფორმა. ასეთ ცვლილებას აქვს ორი რაკურსი: ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის თანაფარდობა და თითოეული ამ ნაწილის შემადგენლობა. კაპიტალის ფიზიკური სტრუქტურის გარდაქმნის აუცილებლობა პირველ რიგში განპირობებულია საწარმოს წარუმატებლობით, აქტივების დაბალი უკუგებით მათი არასაკმარისი ბრუნვადობის შედეგად და ბოლოს, რეალური კაპიტალის ცვლილება შეიძლება დაკავშირებული იყოს მისი ხარისხობრივი შემადგენლობის ოპტიმიზაციასთან ან არსებული ელემენტების უფრო სრულყოფილი ელემენტებით შეცვლასთან ან საწარმოში უფრო სრულყოფილი და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებასთან;

მეოთხე - წარმოების ორგანიზაციული სფეროს გარდაქმნა. ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა წარმოების პროცესში პროდუქტის მოძრაობის მარშრუტის ოპტიმიზაცია, რაც გულისხმობს საწარმოო ფართობების ფუნქციონალურ ცვლილებას საწარმოო ციკლის ჩარჩოებში და შიდასაწარმოო ნაკადების სქემის გადახედვას.

ამგვარად, საწარმოს რეფორმირების პროგრამის მიზანია მისი შიდა ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართულია ღია საბაზრო ეკონომიკაში მეურნეობრიობის

პირობებისადმი სამრეწველო საწარმოების ადაპტაციის პროცესების დაჩქარებასა და განვითარებაზე. ჩატარებული კვლევა გვარწმუნებს, რომ რესტრუქტურისა და საწარმოო საწარმოთა ქონება, მისი აქტივები, ესე იგი მის განკარგულებაში არსებული მანქანები და მოწყობილობები, შენობები და ნაგებობები, მარაგები, საბანკო ანაზრები, ფასიან ქალაქებში ინვესტიციები. ამავე დროს, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაცია, როგორც წესი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს აქტივების შესაბამისი გარდაქმნის გარეშე. ამ უკანასკნელის სტრუქტურას პრაქტიკულად არანაირი ცვლილება არ განუცდია. საწარმოთა ფუნქციონირება ასეთ მდგომარეობაში განაპირობებს ჭარბი საწარმოო სიმძლავრეების არსებობას, ძირითადი ფონდების მორალურ -ფიზიკურ ცვეთას, არასაწარმოო აქტივების არაეფექტიან გამოყენებას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფო ზემოქმედების აქტიური ღონისძიებები სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებაზე, რომელიც გამოირიცხავს არაეფექტიანი მესაკუთრის არსებობას.

გრაფიკი №3.4. საწარმოო საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარეების კომპლექსური რეორგანიზაცია



შეკმნილ სიტუაციაში სავსებით გასაგებია, რომ სამრეწველო საწარმოთა

რესტრუქტურიზაცია გარდაუვალ აუცილებლობას არ წარმოადგენს, ერთ შემთხვევაში იგი წყდება საწარმოს მიერ საკუთარი ძალებით შემუშავებული მისი აქტივებისა და პასივების რესტრუქტურიზაციის პროგრამის საფუძველზე. ე.ი. შიდა ზემოქმედების ღონისძიებების გზით; ხოლო მეორე შემთხვევაში - გადახდისუუნარობის მექანიზმების მეშვეობით, ესეიგი გარე ზემოქმედების მექანიზმებით.

საწარმოს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების შემდგომ, საწარმოში ინიშნება რეაბილიტაციის მმართველი და დგება საწარმოს რეაბილიტაციის გეგმა. რეაბილიტაციის მმართველი წარმართავს და უზრუნველყოფს რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას. რეაბილიტაციის პროცესი მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, საწარმოთა გადახდისუუნარობა ექცევა ანტიკრიზისული მართვისა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების გავლენის ქვეშ, რომლის მიზანია ნეგატიური ტენდენციების თავისდროული გამოვლენა, პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათი დაძლევა ანდა შერბილება მაკრო და მიკრო დონეებზე.

დასკვნა

ფინანსური მდგრადობა ნებისმიერი ტიპის საწარმოებისათვის მუდმივი გამოწვევა მთელს მსოფლიოში. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საწარმოებისთვისაც. საწარმოები, რომლებიც წარმატებით იყენებენ ფინანსური რესურსების მოზიდვის მრავალფეროვან მექანიზმებს, როგორც დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის საშუალებას, ამ ქვეყნებში ბიზნეს-სექტორმა წარმატებას მიაღწია. სწორედ, ამ ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფომ ბიზნეს-სექტორთან ერთად უნდა იზრუნოს საწარმოების დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოძიებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, რაც გამოიხატება საბიუჯეტო დაფინანსების გაუმჯობესებულ მექანიზმში, ბიზნეს-სექტორისთვის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი კანონმდებლობის შექმნაში და მსგავს ინიციატივებში.

საწარმოს ეკონომიკური მდგრადობისა და მისი წარმატება-წარუმატებლობის დადგენისათვის საჭიროა ფინანსური მდგომარეობა შეფასდეს კომპლექსურად, შესაბამისი ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით. წარუმატებლობის განვითარებას ხელს უწყობს საწარმოს შიდა და გარე ფაქტორები, პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების გზით. ყოველი მათგანი გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობის განსაზღვრულ სფეროზე, რაც აძლიერებდნენ ნეგატიურ ეფექტს.

საწარმოს წარუმატებლობის დაძლევა შესაძლებელია იმ პრობლემების მოგვარების შედეგად, რომლებიც აღმოცენდა ანტიკრიზისული მართვის პროცესში. საწარმოს გადახდისუნარიობა ექცევა ანტიკრიზისული მართვის პროცესის და საწარმოს საქმიანობის რეგულირების გავლენის ქვეშ, რომლის მიზანი ნეგატიური ტენდენციების დროულად გამოვლენა და პროფილაქტიური ღონისძიებების გატარებაა. კერძოდ, ანტიკრიზისული რეგულირების სისტემის ფორმირება და ეფექტიანი ფუნქციონირება, სანაცის პროცესის ინვესტირება, წარუმატებელი საწარმოების რეფორმირება და რესტრუქტურირება. აქვე

უნდა აღინიშნოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, რომელიც საწარმოს რეაბილიტაციის შესახებ უმნიშვნელოვანეს ელემენტებს შეიცავს.

ჩვენს მიერ განხილული და გაანალიზებული კომპანიის საქმიანობის ზოგადი შეფასება მოცემულ პერიოდში ნორმალურია, თუმცა ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე ჩატარებული დეტალური ანალიზით გამოვლენილ იქნა გარკვეული ნაკლოვანებები. ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი სამოქმედო გეგმა, განიხილოს და შეაფასოს თავისი ფინანსური მდგომარეობა სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე ლ. კაკულია, რ. თუთბერიძე, გ. კორპორაციის ფინანსები, 2009;
2. ბერძენაძე, შ. ბენია, ფინანსური მენეჯმენტი. დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2003;
3. გაბელაია ა. “ფინანსები” თბილისი, 2011;
4. გადელია დ. კორპორაციათა ფინანსები. 2006;
5. ლუღუშაური ზ. ფინანსური მენეჯმენტი; თბილისი, 2007;
6. ჭილაძე ი; ფინანსური ანალიზი; თბილისი, 2011;
7. ხარაბაძე ე. ფინანსური აღრიცხვა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2009;
8. ჯიბუტი მ. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი. 2003;
9. ვან ჰორნი ჯეიმს ; ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. „საქართველოს მაცნე“ 2009;
10. Ансофф И. Стратегическое управление. – М.: Экономика. 1979. 520с;
11. БрейлиР. МайерсС. ПринципыкорпоративныхФинансов. ЗАО «Олимп-Бизнес». М. 2009;
12. Данилочкина Н.Г. Контролинг, как инструмент управления предприятия. –М.: ЮНИТИ. 1999. с.185;
13. Зви Боден. Роберт К. Мертон Фининсы. Изд. Дом Вильмс Москва Санкт–Петербург Киев 2004.
14. Хоскинг А. Курс предпринимательства: практическое пособие: М.: Международное отношения. 1993. с. 24-26;
15. Фудотова М.А. Как оценить финансовую устойчивость предприятия? // Финансы. – 1995. №6;

ინტერნეტ მასალები:

1. <http://www.parliament.ge/>;

2. <http://www.google.com;>
3. www.mmeconomics.com.ge;
4. <http://www.forbes.ge>
5. <http://www.mof.ge>
6. www.nplg.gov.ge;
7. [https://napr.gov.ge/ ;](https://napr.gov.ge/)
8. [http://www.geostat.ge/ ;](http://www.geostat.ge/)
9. [https://matsne.gov.ge/.](https://matsne.gov.ge/)
10. <http://accountingtools.com>
11. <http://investopedia.com>